# სამტრედიის მაცნე

გაზეთი გამოდის
1930 წლის
5 ნოემბრიდან

samtrediismacne @ gmail.com

№13 (9390) | 15 ივლისი. 2023 წელი | ფასი 75 თეთრი


## საკრებულოს მორიგი სხდომა და ტაში დარბაზში

2

## მოასფალტებული გზა სოფელ პირველ ნიგორაზღვაში

2

## დანიშვნა

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის "ე" ქვეპუნქტის "ე.ე" – ქვეპუნქტის, 106-ე მუხლის მე-13 პუნქტისა და "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 44-ე მუხლის შესაბამისად, შპს "სამტრედიის მაცნეს" დირექტორად დაინიშნა შალვა არზუმანიანი. იგი პროფესიით ეკონომისტია, იყო მესამე და მეოთხე მოწვევის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე.

## ლია წერილი 153 წლის იუბილარ სამტრედიას

4

## სტიქიამ ნახევარი საქართველო ლამის წყალს გაატანა!

3

## დანიის მასწავლებელთა პროფკავშირის თანადგომა ქართველ მასწავლებლებს

4

## სიღნაღის ფესტივალზე სამტრედიის დრამატული თეატრი მესამე ადგილზე გავიდა

## "თეატრალური იმერეთი 2023"-ზე სამტრედია "თორმეტი განრისხებული მამაკაცით" წარსდგა

5

## "ჭიგნი სამყაროსადმი ხედვას გვიფართოვებს"

8

## ფოტოსურათებით ნათქვამი საკუთარ გრძნობებზე

7

# საკრებულოს მორიგი სხდომა და ტაში დარბაზში



ლევან გაბეჩავა

მორიგი სხდომა გამართა ამ დღეებში მუნიციპალიტეტის საკრებულომ, რომელსაც ნუგზარ ჯამბურია უძღვებოდა. დამტკიცებული დღის წესრიგი 21 საკითხისაგან შედგებოდა, მომხსენებლები საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი, გოჩა არველაძე, ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტარიელ ცომაია და იურიდიულ, ადამიანთა უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო კომისიის თავმჯდომარე, მანანა სირბილაძე გახლდათ.

ტაში დარბაზში ორჯერ, მაშინ გაისმა, როცა ეროსი მანჯგალაძის სახელობის თეატრალურ დასსა და საჭიდაო კლუბ "ფალავანის" სპორტსმენს, ოთარ ადეიშვილს ევროპის ჩემპიონობა (მწვრთნელი ვეფხია სტურუა) მიულოცეს.

მუხლობრივი ცვლილებები განხორციელდა საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის, კომპლექსური სპორტული სკოლის და რიგი სხვა ორგანიზაციების ბიუჯეტში.

ისევ და ისევ ცხარე დისკუსიის საგანი გახდა მწვრთნელ-მასწავლებლებისათვის რამდენადმე მართლაცდა დაბალი ხელფასები, ოპოზიციის "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" – აკაკი მინაშვილის მხრიდან მათთვის ხელფასების მატების აუცილებლობას გაესვა ხაზი.

მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური სამსახურის მისამართით გამოთქმულ სამადლობელი უკვე არავის უკვირს, ამ სხდომაზეც აღინიშნა უწყების გამართული, მოქნილი მუშაობა, მადლობა პირადად სამსახურის უფროსს, ლევან ახობაძეს გადაუხადეს მას შემდეგ, რაც მან დეპუტატების შეკითხვებს უპასუხა. ცნობისათვის, გაიზარდა სოციალური სამსახურის ბიუჯეტი და იგი მთელ რიგ კატეგორიას, მათ შორის მარტოხელა მშობლებისათვის კიდევ მეტი ფინანსური მხარდაჭერითაა გამოხატული.

ბოლო საკითხის განხილვის შემდეგ მოკამათეთა ამპლუაში საკრებულოს წევრები ემზარ შუბლაძე და მანანა სირბილაძე ვიხილეთ, მას შემდეგ რაც მანანა სირბილაძემ საკრებულოს განსახილველად საკრებულოს წევრის ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესები შესთავაზა.

საქმე იქამდე მივიდა, რომ უნებლიედ საკრებულოს წევრმა გიორგი ლეჟავამ იყვირა – ესაა ქცევის წესები? რას ვიზამთ.

სრული სერიოზულობით ვამბობ, საქმიანი და ასე თუ ისე ხმაურიანი სხდომა მაინც მშვდობიანად დასრულდა, დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი ამოიწურა და შესაბამისი გადაწყვეტილებები იქნა მიღებული.

# ფრაქცია "ქართული ოცნების" სხდომაზე ითქვა...

ლევან გაბეჩავა

საკრებულოს ფრაქცია "ქართული ოცნების" თავმჯდომარის, ტარიელ დვალიშვილის ანაზღაურებად შვებულებაში მყოფობის გამო, ფრაქციის მორიგ სხდომას ამავე ფრაქციის თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილე ლიზა კრავეიშვილი უძღვებოდა.

სხდომა საკრებულოს თავმჯდომარის სამუშაო ოთახში გაიმართა. დღის წესრიგში ორი საკითხი გახლდათ.

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტში არსებული უმოქმედო ბალნეოლოგიური კურორტის ფუნქციის აღდგენის შესახებ.

2. სამტრედიის მუნიციპალიტეტში წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო ინფრასტრუქტურის შექმნისათვის შესასრულებელი მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი პირველ საკითხზე თავად ლიზა კრავეიშვილი,მეორეზე კი საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ტარიელ ცომაია გახლდათ.

ლიზა კრავეიშვილმა, რომელიც ერთხანს კურორტის დირექტორიც იყო, ვრცლად, დეტალურად ისაუბრა კურორტის დაარსების, ზრდა-განვითარების, გოგირდოვანი წყლის თვისებებისა და, რაღა თქმა უნდა, იმ დაშვებული შეცდომების შესახებ, რა ვითარებაშიც დღეს ერთ დროს ოაზისად ქცეული ბალნეოლოგიური კურორტი იმყოფება. რაც მთავარია და მიუღებელი, ისაა, რომ მოსახლეობა მოკლებულია წყლით სარგებლობის სიკეთეს, კურორტს კი ფუნქცია აქვს დაკარგული და ეს წლებია გრძელდება!

სხვათა შორის, ამ თემას სხვადასხვა დროს არაერთი წერილი უძღვნეს სამტრედიაზე თავდავიწყებით შეყვარებულმა ერისკაცებმა. ერისკაცობაზე არასოდეს მქონია პრეტენზია, მაგრამ ორი ნარკვევი "თურაშაულის პატრონი ტყეში ეძებდა პანტასა" და "წყალში გადაყრილი მილიონები" – "სამტრედიის მაცნეში" თავადაც გამოვაქვეყნე სხვადასხვა წლებში.

და მაინც, იმის შესახებ, თუ რა ითქვა ფრაქციის სხდომაზე საკითხის მოგვარების თვალსაზრისით, ამის დეტალიზაციისაგან ამჯერÐÓ თავს იმ მოტივით შევიკავებ, რომ მოსახლეობას წლობით მოუგვარებელი საკითხის მოგვარებისკენ გადადგმულØ კონკრეტული ნაბიჯები აინტერესებს და არა კიდევ ერთი (ეჭვშეუვლად პატრიოტული სულისკვეთებით გაჯერებული) კრების ან სხდომის ანგარიში.

მეორე საკითხის ირგვლივაც ამომწურავად ისაუბრა ტარიელ ცომაიამ, რომელიც ნამდვილად გამოირჩევა სხდომებზე გასატანი საკითხების ღრმა, ძირეული ანალიზით. ამ მართლაცდა საუკუნის პროექტის თაობაზე "სამტრედიის მაცნემ" არაერთხელ აუწყა მკითხველს. დავსძენთ, ეს საკითხი ნამდვილად საუკუნის პროექტი იქნება და საუკეთესო გამოხატულება ქართულ-გერმანული ურთიერთობისა. ამჯერÐÓÐê წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სამუშაობის დაწყების პარალელურად ვისაუბრებთ დეტალურად.

ფრაქციის სხდომაზე მომხსენებლების მისამართით საკრებულოს თავმჯდომარის სამადლობელს შევუერთდები, რამეთუ არანაირი საქმე არ იქნება მცდელობისა და მონდომების გარეშე.

ამ სხდომაზეც სწორედ ის ითქვა, რომ წარმოდგენილი საკითხები აუცილებლად უნდა გადაწყდეს, შესრულდეს ხალხის საკეთილდღეოდ.

დაბოლოს, ისევ ფუჭად (ყოველ შემთხვევაში ხალხისათვის) უსარგებლოდ იღვრება **დოკუმენტურად თვისებებდაკარგული** უიშვიათესი წყალი!!!

# მოასფალტებული გზა სოფელ პირველ ნიგორზღვაში

ნათია ნაცვლიშვილი

სოფელ პირველ ნიგორზღვაში ამ გაზაფხულზე ერთ კილომეტრზე მეტი გზის მონაკვეთი მოასფალტდა და შესაძლებელი გახდა სკოლამდე მოსწავლეთა უსაფრთხო ტრანსპორტირება, სამუშაოები შეასრულა კომპანიამ შპს "ჯორჯიან ბილდი" (სამუშაოს შემსრულებელი, გიორგი დაუშვილი).

"სამტრედიის მაცნესთან" საუბარში მერის წარმომადგენელმა საჯავახოს ადმინისტრაციულ ერთეულში, თენგიზ ქორიძემ განაცხადა:

"სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის დაკვეთით ჯერ შედგა პროექტი, რომელიც მთლიანად დაეფუძნა სოფლის მოსახლეობის ინტერესებს, გამოცხადდა ტენდერი სამუშაოს შესრულებაზე, გამარჯვებულმა კომპანიამ "ჯორჯიან ბილდმა" შეასრულა პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები. პროექტი წყალგამტარი მილ- ბოგირების მოწყობას და გზის მოხრეშვა-მოასფალტებას ითვალისწინებდა, სამუშაოები უკვე დასრულდა, ამავე კომპანიამ, პარალელურად სოფელ საჯავახოში, ე. წ. საკირეს უბანში შეასრულა ორი ჩიხის მოასფალტების სამუშაოები, საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება კვლავ რჩება ჩვენს პრიორიტეტად".

ნიგორზღვის საჯარო სკოლის ჭიშკართან მისასვლელი გზის მოასფალტებამ საშუალება მისცა მცირეკონტინგენტიანი სკოლის მოსწავლეებს, მოეწყოთ სკოლის წინ ასფალტზე ხატვა.

# სტიქიამ ნახევარი საქართველო ლამის წყალს გაატანა!

თეა ბაბუნაშვილი

**წლების წინ, ჩვენი მთავარი რედაქტორის ნათქვამი, "ღმერთო, გამიყვანე მეორე ნაპირზე", ფრთიან ფრაზად იქცა რედაქციაში. არადა, კულაშის სამარშრუტო მიკროავტობუსიდან ჩამოსულმა დატბორილი ქალაქის ცენტრში მერიის შენობამდე მისვლა სთხოვა მაშინ ღმერთს. მას მერე 15 წელზე მეტია გასული, მაგრამ ძლიერი წვიმა და სამტრედია წარღვნის იმიტაციას კვლავ ზედმიწევნით ზუსტად ანსახიერებენ. ეს რაც შეეხება ქალაქის ცენტრალურ ნაწილს, თუმცა, გაწვიმება აქილევსის ქუსლი დანარჩენი სამტრედიისთვისაც გახლავთ.**

**ივლისის მოჭარბებულმა ნალექმა თითქმის მთელი საქართველო "წყალს გაატანა". ამ პრობლემას მიჩვეული სამტრედია, პრობლემებს როგორ ჩამორჩებოდა და რამდენიმე დღის წინანდელმა ძლიერმა წვიმამ სამტრედიელებს სამტრედიელობა ვენეციას მიმსგავსებული ქალაქის ცენტრალური ნაწილითა და დატბორილი მიმდებარე სოფლებით შეახსენა.**

ამ მოვლენის აღმნიშვნელი ფოტო და ვიდეო მასალით აჭრელებული სოციალური ქსელი შეშფოთება-აღშფოთებიდან ხუმრობამდე დამაფიქრებელი და იმავდროულად ღიმილის მომგვრელია.

შედეგად შესაბამისი კომისია ზარალს ითვლის. ადგილობრივი ხელისუფლება პრობლემას იცნობს და მისი მოგვარების გზების მუდმივ ძიებაშია. თუმცა, სხვა ფაქტორებთან ერთად, მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული მდებარეობაც ართულებს მის მოგვარებას. მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის, ვლადიმერ ზაქრაძის სამუშაო კაბინეტში შეკრებილი მუშა ჯგუფი, წვიმიანი ღამის გათენებისთანავე შეუდგა ცალკეულ თემებსა თუ სოფლებში, უშუალოდ ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ დაზიანებებზე ინფორმაციის შეგროვებას და მოსაგვარებელი საკითხების განხილვას. ლადო ზაქრაძესთან ზარალის დამთვლელი კომისიის მიმდინარეობისას ჯერ ისევ არ იყო ყველა თემიდან ინფორმაცია სრულყოფილად მოსული, თემში მერის წარმომადგენლები ეტაპობრივად აცნობდნენ მათ ჯგუფის წევრებს. ცალკეული ინფრასტრუქტურული ობიექტებისა და მოსახლეობის ზარალს ჯერ კიდევ ითვლიან.

ძლიერმა წვიმამ გომში, ნადირაძეების უბანში, მდინარე კაპიტონაზე გადებულ ხიდს ბურჯები გამოაცალა და გადაადგილებისთვის სახიფათო გახადა იგი. 80-100 ოჯახი მოწყვეტილია როგორც ქალაქის, ასევე სოფლის ცენტრალურ ნაწილს. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ მისი კალაპოტი თავიდან ბოლომდე გასაწმენდია ნატანისგან. წყალმა წაიღო 25 მეტრიანი გაბიონი ტოლებში, მდინარე ხევისწყალზე, კრიტიკულად დაზიანებულია ხიდი ქალაქის ტერიტორიაზე, მაიაკოვსკის ქუჩაზე. აღდგენითი სამუშაოები კომუნალური გაერთიანების ტექნიკითა და მუშახელით, მუშა ჯგუფის შეხვედრის პროცესშიც მიმდინარეობდა.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ მთელი ღამის განმავლობაში ზარები არ წყდებოდა, როგორც შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლების, ისე სამაშველო სამსახურის მისამართით. დაიტბორა კერძო საცხოვრებელი სახლები, ეზოები, ქუჩები.

"ბუნებას წინ ვერავინ დაუდგება და წუხანდელ მოვლენას თავისუფლად შეიძლება სტიქიური ვუწოდოთ. მოსახლეობისთვის ცნობილია, რა შედეგები მოიტანა მან და არა მხოლოდ სამტრედიაში, გურიის, სამეგრელოს, აჭარისა და იმერეთის სხვადასხვა მუნიციპალიტეტში. სამტრედიის მაგალითზე გეტყვით, რომ მდინარეებმა წყალი ვერ მიიღო, უფრო სწორად, ვერ მოასწრო მისი გატარება და ამან გამოიწვია წყალდიდობა. პრობლემა არახალია და მასზე მუშაობა არ წყდება. ვფიქრობთ, სამტრედიისთვის გამოსავალი გრანდიოზული პროექტია, რომელზეც უკვე ვმუშაობთ, გერმანული ბანკი სოლიდური თანხით აფინანსებს და აგვისტოს ბოლოსთვის პროექტი მზად იქნება, წლის ბოლოდან კი სამუშაო პროცესი დაიწყება. იგი საკანალიზაციო და წყლის სისტემის პრობლემების სრულ რეაბილიტაციას გულისხმობს. ამჯერად არსებული ზარალის შესახებ გუბერნიასა და მთავრობის ადმინისტრაციას ვაცნობებთ და ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში მოსახლეობას მაქსიმალურად დავეხმარებით." – განაცხადა ლადო ზაქრაძემ.

გამოდარებიდან გაწვიმებამდე და გაწვიმებიდან გამოდარებამდე საკითხზე ჯერჯერობით მხოლოდ მსჯელობა და მუშაობა მიდის. იმედია, უფრო ზუსტად, აუცილებელია, შედეგი ხელშესახები იყოს და საკითხი მოაგვაროს. დიახ, ბუნების წინააღმდეგ ვერავინ წავა, მაგრამ სასურველია, ბუნებრივ მოვლენებს სხვა ფაქტორები არ ემატებოდეს.

# ვისაც სჯერა, გაატარეთ

ამ წერილის დაწერა სამტრედიის ე. წ. ჩატში გამოქვეყნებულმა ვიდეოკადრებმა გადამაწყვეტინა, რომელიც შპს "ბავშვთა საავადმყოფოს" შეეხებოდა. თავდაპირველად არც ვაპირებდი პასუხის გაცემას, მაგრამ ბოლოს მაინც გადავწყვიტე, უყურადღებოდ არ დამეტოვებინა. საერთოდ სხვა სათაურით ვაპირებდი ამ სტატიის დაწერას: "გაიღვიძე გრიშა ბიძია, დეპოში ვართ", მაგრამ გადავიფიქრე, რამეთუ ამ კადრების ავტორმა შესაძლოა, არც კი იცოდეს ამ სიტყვების ავტორი, არც ადრესატი, არც შინაარსი. დეპო შეიძლება ეცნოს, მაინც რკინიგზელთა ქალაქია სამტრედია. ყველას გასაგონად მინდა გამცნოთ, რომ სამტრედიის ბავშვთა საავადმყოფო უკვე თერთმეტ წელზე მეტია არ ფუნქციონირებს და ეს კადრებიც სწორედ გაუქმებული საავადმყოფოს ამსახველი კადრებია. თქვენი აღშფოთება და შეშფოთება უფრო ადრე რომ გამოგეხატათ, როცა 100 ახალი საავადმყოფოს სახელით დაწყებულ კამპანიას შეეწირა არა მარტო ბავშვთა საავადმყოფო, არამედ სხვა სამედიცინო დაწესებულებები: სამშობიარო სახლი, რაიონული საავადმყოფო და სხვა, უკეთესი იქნებოდა. არც ადგილობრივი გამგეობა და არც სხვა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები არაფერ შუაში არიან, თორემ მათი კაბინეტის კარებიც არ მესწავლება და არც თხოვნა გამიჭირდებოდა.

დღეს ყოფილი ბავშვთა საავადმყოფოს ბაზაზე ფუნქციონირებს ორად ორი კაბინეტი პედიატრიული და ოტოლარინგოლოგიური. აი, სახელს კი ვერ შეველიეთ და ძველი დავტოვეთ შპს "ბავშვთა საავადმყოფო" და იცით რატომ? დაგვენანა დასავიწყებლად, რამეთუ ამ საავადმყოფოს კედლებში ისეთი ღვაწლმოსილი და დამსახურებული ექიმები იღვწოდნენ ბავშვთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის სადარაჯოზე, როგორებიც გახლდათ ბატონი ვახტანგ დუნდუა (მამა) ქალბატონი ირა მიქაშავიძე, ქალბატონი კლარა ლასარეიშვილი, ოქროსხელება მედდები, მაციკო სტურუა, ნელი კვანტალიანი და სხვები. და დღეს რაიონში მოქმედი პედიატრთა უმრავლესობა სწორედ მათი დამსახურებით ჩამოყალიბდნენ პრაქტიკოს ექიმებად, ანუ ახლანდელი ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, სწორედ აქ დაეუფლნენ საჭირო უნარ-ჩვევებს. ამჟამად აქ, ვიმეორებ, მხოლოდ ორად ორი კაბინეტი ფუნქციონირებს და ისიც ამერიკელი მოხალისეების მიერ საკუთარი ხელით გარემონტებული. აქ ისეთი გამოცდილი და მცოდნე ექიმები ემსახურებიან ადამიანთა ჯანმრთელობას, როგორებიც გახლავთ პედიატრი ქალბატონი მზია ორაგველიძე და ოტორინოლარინგოლოგი ბატონი დემნა გიორგაძე (შვილიშვილი), რომლებიც ნამდვილად არ უჩივიან პაციენტთა სიმცირეს. დღეს ქვეყანაში მოქმედებს საყოველთაო ჯანდაცვის კანონი, რომელიც ყველა მოქალაქეს აძლევს უფლებას, აირჩიოს ექიმი, დაწესებულება, კეთილმოწყობილი შენობა და ა. შ. მაგრამ დღეს ჩვენს სინამდვილეში არიან ადამიანები, რომლებიც სწორედ ამ ექიმებს ანდობენ თავიანთი შვილების ჯანმრთელობაზე ზრუნვას. ასე რომ, გზა ხსნილია, მაგრამ ვისაც ჩვენი სჯერათ, გაატარეთ.

პატივისცემით შპს
"ბავშვთა საავადმყოფოს"
დირექტორი
ქეთევან ფანცულაია

# ღია წერილი 153 წლის იუბილარ სამტრედიას

ლევან გაბეჩავა

*ერთ დროს გაუვალ ჭაობში, უსიერ ტყეში, ტურა-მელას მყუდრო სადგომში ორთქლმავლის კივილმა ცა გააპო და შენი დაბადება ამცნო მეზობელ ხონს, ვანს, ქუთაისს, "პაპად რომ გერგებიან" დაარსების წლების მიხედვით.*

*მერე ლიანდაგის გასწვრივ ჯერ ქოხმახები,მერე "ზდანიები", "სახალხო შკოლა", "ბალნიცა" რკინიგზის "სტანცია" გაჩნდა და დაიბადე როგორც დაბა, მერე კი, მერე როცა მისმა იმპერატორობითმა უდიდებულესობამ, ალექსანდრემ ხელი მოაწერა დებულებას საქალაქო თვითმმართველობის შესახებ, საქართველოს მაშინდელ ადმინისტრაციულ რუკაზე შენ, ანუ ქალაქი სამტრედია გაჩნდი.*

არ უყვარს შელამაზება ისტორიას, რუსები, სომხები, ასირიელები, ებრაელები, ბერძნები... ქართველების მხარდამხარ იღვწოდნენ შენი კეთილდღეობისათვის, შენი ფრთების გაშლისა და დიდებისათვის. არავისთვის დაგიკარგავს ამაგი, ყველას მიუჩინე მყუდრო ბინა შენს ლამაზ ისტორიაში.

ერთ დროს კავშირის მასშტაბით გაითქვი სახელი, როგორც რკინიგზის საკვანძო ქალაქმა, სამრეწველო რაიონმა, ებრაელი ერის შემფარემ და მზრუნველმა.

მდეროდნენ ერთ დროს: დანიელა ურია, ჩვენში ვინ გაურიაო, ვინ და რამ? სიყვარულმა გაურია ქართველობაში, ორი ერის სიყვარულმა, დღეს რომ ორივე ერი ვამაყობთ, იმ სიყვარულმა. დაიტევს ერთი წერილი იმ ცნობილ ადამიანთა გვარ-სახელებს დღეს, შენ ლამაზ ისტორიას რომ ქმნიდნენ? რას მიქვიან პარტიები, ფორმაციები, ჩვენ ვამაყობთ ნანეიშვილების, ჯანელიძეების, გელოვანების, მიქელაძეების, რევიშვილების... სამტრედიელობით.

განა საამაყო არაა ორი წმინდანის – მიტროპოლიტ ნაზარისა და ფილიმონ ქორიძის, დედა უნივერსიტეტის მესაძირკვლეების, აკაკი შანიძის, ანდრია რაზმაძის, აკადემიკოსების, ბენო ბალავაძის, თეიმურაზ კოპალეიშვილის, იუსტინე ჯანელიძის სამტრედიელობა? დიდი ეროსი? ბათუ კრავეიშვილი? ჯემალ ღაღანიძე?

თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე ვამაყობ იმ ქალაქში რომ ვცხოვრობ, სადაც კრძალვით გვესალმებიან გურამ მშვიდობაძე, ლუარა კახიანი, თამაზ ჟორდანია, სადაც ეამაყებათ მერი არაბიძის, დათო ჯოჯუას, ბაჩანა ჩაბრაძის, გურამ შენგელიას სამტრედიელობა. მერედა რა, რომ იუბილარი ხარ, განა ჩვენზე უკეთ არ იცი, ვინ როგორ მოგექცა?

ბევრმა გასწირა თავი შენთვის, საქართველოსთვის... 1924, 1941-45, 1956, 1989, 1993, 2008 წლები და ამ წლებში განვითარებულ მოვლენებში არაერთმა სამტრედიელმა მიიტანა სიცოცხლე სამსხვერპლოზე. თუმცა იყვნენ ისეთები, შენს ნანგრევებზე რომ იხეირეს, და მაშინ, როცა გაგიჭირდა, თავს უშველეს, ახლა კი?

რას ვიზამთ, ასეც ხდება...

დღესაც უყვარხართ და გაფასებენ, ჩემო ქალაქო.

დავდივარ ქალაქში და მახარებს განახლებული შენი ქუჩები, ახალი ბაღები, სკვერები. კვლავ გიმდერიან ლექსებით მაყვალა ჩირგაძე,ბექა ფოცხვერია და თემო ჭახნაკია, შენს სახელს განადიდებენ მათი ღვაწლით მერაბ ჯანელიძე, შოთიკო პაპავა, შოთა შუბლაძე და სხვები. შენი ისტორიის წერას აგრძელებენ დირსეული სამტრედიელები გია ბოჭორიშვილი, ნათელა გელეიშვილი და სხვები.

არ იქნა და ვერ დასრულდა "ჟამი უნდობარი", ბევრნი არიან

წასულები სამტრედიიდან საზღვრებს მიღმა სამუშაოდ, არადა, არცთუ შორეულ წარსულში თუ 40-ზე მეტი საწარმო მოქმედებდა, ახლა რა ღმერთი გვიწყრება?

საუბარს არ გავაგრძელებ, რამეთუ ყოველივე ცხადი რეალობაა.

რას გისურვებ?

მრავალჟამიერობას!

აკვანთა სიმრავლეს, ჩვილთა ღუღუნს!

სახეღიმილიან თანაქალაქელებს შენს ქუჩებში!

აგუგუნებულ ფაბრიკა-ქარხნებს!..

ახალგაზრდების ბედნიერ ლაღ სიცილს და ჟრიამულს შენს ჩეროებში!

ძლიერებას, აყვავებას, აღორძინებას და ისევ და ისევ მრავალჟამიერობას!

კიდევ ერთი წლით დაბრძენებას გილოცავ, ჩემო ქალაქო!

**P.S.** არც ამჯერზე დარღვეულა ტრადიცია და შენდამი, შენი მკვიდრებისადმი საუკეთესო სურვილებით შეგვეხმიანა პროფესორი ვაჟა თვალავაძე და გულწრფელად მოგილოცა კიდევ ერთი წლის მატება, მადლობა მას!

# დანიის მასწავლებელთა პროფკავშირის თანადგომა ქართველ მასწავლებლებს

ნათია ნაცვლიშვილი

*საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის მიერ ორგანიზებულ ეროვნულ კონფერენციას, რომელიც საქართველოს დედაქალაქში, სასტუმრო "ქორთიარდ მერიოტში" გაიმართა, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული პროფკავშირის წევრი პედაგოგები დაესწრნენ. 400 ქართველი პედაგოგი გადამზადდა ამ პროექტის ფარგლებში, რომელთაც თავიანთი ინოვაციური მეთოდები სასწავლო პროცესში დანერგეს. შემდეგ კი, კოლეგებს კონფერენციაზე გაუზიარეს.*

*"დანიური სწავლების მეთოდოლოგიის დანერგვა საქართველოში და მიღწეული შედეგების გაზიარება "– ამ სახელწოდების კონფერენცია საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის პრეზიდენტმა, მაია კობახიძემ გახსნა.*

მაია კობახიძე:

"მიხარია, რომ დღეს ამ დარბაზში უამრავი კაშკაშა ვარსკვლავი გვყავს, აქ არიან ცოდნითა და ინტელექტით დატვირთული, სიახლეების ძიების ნიჭით გამორჩეული მასწავლებლები. დანიის მასწავლებელთა პროფკავშირის ინიციატივით დაიწყო 2017 წლიდან ქართველი მასწავლებლების გადამზადება თანამედროვე მეთოდოლოგიით, რამაც შთამბეჭდავი შედეგი გამოიღო, ეს კონფერენცია ნათელი მაგალითია იმისა, რომ ჩვენს მასწავლებლებში მზარდია ინტერესი კვალიფიკაციის ამაღლებისა და სიახლეებისადმი".

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი, ბერიკა შუკაკიძე: "ასეთი შეხვედრები ძალზე საჭირო და სასარგებლოა, მადლობა ეკუთვნით ამ პროექტის განმახორციელებელთ და ინიციატორთ, პირადად შევხვდი დანიელ ტრენერებს, ასეთი შეხვედრები დაგვეხმარება, გავერკვეთ ამ ჯადოსნურ სამკუთხედში: რა ვასწავლოთ, როგორ ვასწავლოთ, როგორ შევაფასოთ, რომ გაკვეთილი უფრო სასარგებლო იყოს ბავშვებისათვის.

რაც მეტ კარგ საერთაშორისო პროექტს გავეცნობით და მეტი პედაგოგი ჩაერთვება მასში, მეტად მიმზიდველი იქნება საგანმანათლებლო პროცესი, ტრადიციული გაკვეთილი მოსწავლეს კი არა, ჩვენ აღარ მოგვწონს. შევეცადოთ, მეტი საგნის ინტეგრირებით, კვლევით და შრომით ბურთი ჩვენი მოედნიდან მოსწავლეთა მოედანზე გადავიტანოთ, ამით ჩვენც შევძლებთ სასიცოცხლო ენერგიის დაზოგვას. დანიელებს ეს მეთოდები ჩვენთვის არ შემოუთავაზებიათ, როგორც წმინდა წერილი და არ უთქვამთ, ამ გზას არა და არ გადაუხვიოთო, ჩვენ გვაქვს იმის ფუფუნება, ჩვენეული ხედვაც შევმატოთ, გვაქვს ჩვენი კულტურული ნარატივიც".

სამტრედიის მუნიციპალიტეტის რამდენიმე საჯარო სკოლიდან კონფერენციაზე წარმოდგენილნი იყვნენ სკოლის დირექტორები და პედაგოგები. მათთან ერთად იმყოფებოდა საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის სამტრედიის ორგანიზაციის თავმჯდომარე, ზოია ჯანაშია.

მათთვის ძალზე საინტერესო იყო კოლეგების მიერ წარმოდგენილ სიახლეთა გაცნობა. პედაგოგებმა ჯაბა ლაბაძემ და ანა ანუშიძემ წარმოადგინეს მოხსენება "ტარსიას" ფაზლები, როგორც სასწავლო რესურსი. საინტერესო იყო ისიც, რომ დარბაზში მყოფი პედაგოგებიც ჩაერთვნენ ფაზლების შევსების პროცესში, ფაზლში ოთხი საგნის შემცველი კითხვები იყო წარმოდგენილი. პედაგოგთა ინტერაქციამ სახალისო და საინტერესო სამუშაო განწყობა შექმნა.

ეკატერინე ჭელიძის, ნონა მიქავას და ცარო ხარძიანის მოხსენება შეეხებოდა "ფლუმის" მოდელებს, ხოლო ნათია გაბროშვილისა და ნინო ეფხოშვილის მოხსენება – თემატურ ბარათებს, როგორც სწავლების ეფექტურ ინსტრუმენტს. ერთ-ერთი მოხსენების თემა დანიური საგანმანათლებლო აქტივობები იყო. განმავითარებელი შეფასების კარგად ცნობილი ინსტრუმენტების გარდა, სხვა ინსტრუმენტებზე ისაუბრეს გარდაბნის, ხულოს და რუსთავის საჯარო სკოლის პედაგოგებმა, სწორედ ეს გეოგრაფიული მრავალმხრივობა იწვევდა დიდ ინტერესს. ახალციხის საჯარო სკოლის პედაგოგმა აზნივ კირაკოსიანმა კი ვრცელი მოხსენება წარმოადგინა დანიური საგანმანათლებლო სისტემის შესახებ, ყველა მომხსენებელ პედაგოგს გადაეცა სიგელები.

როგორც "სამტრედიის მაცნესთან" საუბარში კონფერენციის მონაწილე პედაგოგებმა აღნიშნეს, მსგავსი შეხვედრები უთუოდ დადებითი ფაქტორია და მათ პროფესიულ განვითარებას ხელს შეუწყობს.



# “თეატრალური იმერეთი 2023”-ზე სამტრედია “თორმეტი განრისხებული მამაკაცით” წარსდგა

ნინო ნანიტაშვილი

1 ივლისს ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში საერთაშორისო ფესტივალი “თეატრალური იმერეთი 2023” საზეიმოდ დაიხურა.

საერთაშორისო ‘ფესტივალის თეატრალური იმერეთი 2023-ის” გრან-პრის მფლობელი ტყიბულის მუნიციპალური თეატრია. რეჟისორ მარიამ სიხარულიძის მიერ დადგმულმა სპექტაკლმა “უსამშობლო კაცი” ფესტივალზე აღიარება მოიპოვა.

ასევე ფესტივალის მე-14 სეზონის დახურვის ცერემონიაზე სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებული სპექტაკლები და მსახიობები გამოვლინდნენ.

საუკეთესო სპექტაკლი – “უსამშობლო კაცი” რეჟისორი მარიამ სიხარულიძე (ტყიბულის სახალხო თეატრი), საუკეთესო რეჟისურა – რეჟისორი ირინე ჩხეიძე “დოდოს მოლოდინი” (ხარაგაულის სახალხო თეატრი), საუკეთესო სცენოგრაფია – მამუკა ტყეშელაშვილი “სამანიშვილის დედინაცვალი” (წყალტუბოს სახალხო თეატრი), ფესტივალის აღმოჩენა – ქალის მთავარი როლი – ირინე ჩხეიძე “დოდოს მოლოდინი” (ხარაგაულის სახალხო თეატრი), მამაკაცის მთავარი როლი – გიგა ბუბუტეიშვილი “ვალი” (ვანის სახალხო თეატრი), საუკეთესო ახალგაზრდა მამაკაცი მსახიობი – გიგა აბულაძე “თორმეტი განრისხებული მამაკაცი” (სამტრედიის ეროსი მანჯგალაძის სახელობის დრამატული თეატრი), საუკეთესო ახალგაზრდა ქალი მსახიობი – ლიზი მეფარიძე “ფაბრიკის გოგონები” (თერჯოლის სახალხო თეატრი), ქალის ეპიზოდური როლი – მარიამ მელაძე “მერე რა, რომ სველია სველი იასამანი” (ხონის სახალხო თეატრი), საუკეთესო მამაკაცის ეპიზოდური როლი –ზურაბ ყურაშვილი “სამანიშვილის დედინაცვალი” (წყალტუბოს სახალხო თეატრი), ფესტივალის აღმოჩენა – საჩხერის სახალხო თეატრი “მრგვალი და მახვილი თავები”, ჟიურის სპეციალური პრიზი – სამტრედიის ეროსი მანჯგალაძის სახელობის დრამატული თეატრი “თორმეტი განრისხებული მამაკაცი”.

საერთაშორისო ფესტივალზე მოქმედი პროფესიული თუ სახალხო თეატრების მიერ წარმოდგენილი იყო 15 სპექტაკლი, მათ შორის ქართველ მაყურებელს საკუთარი შემოქმედება გააცნეს იტალიის ქალაქ ნაპოლის ექსპერიმენტული და აზერბაიჯანის სახელმწიფო თეატრმა.

პროექტს უკვე 14 წელია, იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია და იმერეთის თეატრალური საზოგადოება ერთობლივად ახორციელებს. ასევე, ფესტივალის მხარდამჭერია რეგიონის 12-ვე მუნიციპალიტეტი და საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო.

# სიღნაღის ფესტივალზე სამტრედიის დრამატული თეატრი მესამე ადგილზე გავიდა

ნინო ნანიტაშვილი

10 ივნისს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით დაფუძნებული სიღნაღის თეატრალური ფესტივალი საზეიმოდ დაიხურა. ღონისძიებას თეატრმცოდნე ნიკოლოზ წულუკიძე უძღვებოდა, რომელმაც პირველი ფესტივალი შეაჯამა და მის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

ღონისძიებაზე დაჯილდოვდნენ გამარჯვებულები. 13 სპექტაკლიდან ჟიურიმ გამოავლინა პირველ, მეორე და მესამე ადგილებზე გასული თეატრები. საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: პირველი ადგილი – მარნეულის კულტურის ცენტრის სპექტაკლი “მარინა რევია” (ჯილდო 15 000 ლარი), მეორე ადგილი – ტყიბულის მუნიციპალიტეტის კულტურის ობიექტების გაერთიანების მუნიციპალური თეატრის სპექტაკლი “უსამშობლო კაცი” (ჯილდო 10 000 ლარი), მესამე ადგილი – სამტრედიის დრამატული თეატრისა და დმანისის სახელმწიფო თეატრის კოპროდუქციული სპექტაკლი “თორმეტი განრისხებული მამაკაცი” (ჯილდო 5 000 ლარი). გამარჯვებულებმა, ფულად პრემიებთან ერთად, კომპანია “ზარაფხანის” მიერ სპეციალურად ფესტივალისთვის დამზადებული ჯილდოებიც მიიღეს. ასევე, ფესტივალის მონაწილე თეატრებს გადაეცათ სპეციალური სიგელები.

სიღნაღის თეატრალური ფესტივალის დახურვის ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე, ირაკლი გივიაშვილი, სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერი, მალხაზ ბეგიაშვილი, სიღნაღის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები და თეატრმცოდნეები.

როგორც ცნობილია, 3 ივნისიდან 10 ივნისის ჩათვლით სიღნაღის მუნიციპალიტეტმა პირველად უმასპინძლა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, სიღნაღის მუნიციპალიტეტისა და მაჟორიტარი დეპუტატის, დავით სონღულაშვილის ინიციატივით დაფუძნებულ სიღნაღის თეატრალურ ფესტივალს. ფესტივალში მონაწილეობდნენ სახალხო, სამოყვარულო თეატრალური დასები, ასევე – პროფესიული სახელმწიფო თეატრები სამოყვარულო დასებთან შექმნილი ერთობლივი სპექტაკლებით. სპექტაკლებთან ერთად ფესტივალი საგანმანათლებლო პროგრამასაც მოიცავდა. დაინტერესებული პირებისთვის ერთი კვირის მანძილზე იმართებოდა მასტერკლასები, სამუშაო შეხვედრები და საჯარო ლექციები, რომელთაც თეატრალური სფეროს სხვადასხვა მიმართულების პროფესიონალები უძღვებოდნენ.



ერთი კვირის განმავლობაში სიღნაღის რეგიონი იქცა შემოქმედებით ცენტრად, მაყურებელთა მზარდი ინტერესი და მასტერკლასების მონაწილეთა რაოდენობა კი მოწმობს იმას, რომ პირველმა ფესტივალმა საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა.

თეატრალური ფესტივალი სიღნაღში ყოველწლიურად, ივნისში ჩატარდება. მაყურებელს საშუალება ექნება, იხილოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრებთან არსებული სახალხო თეატრების წარმოდგენები და ამავე სამოყვარულო დასებისა და სახელმწიფო თეატრების ერთობლივი სპექტაკლები. ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელია ახალგაზრდა რეჟისორი საბა ასლამაზიშვილი.

# საკითხავი აი ესაა?! მუნიციპალიტეტი? რაიონი?

საოცრებათა მხილველ-მსმენელნი არაერთხელ გავხდით თანამედროვე მსოფლიოში, მათ შორის საქართველოშიც.

...ყოფილი რაიკომები პრეფექტურებმა, შემდეგ გამგეობებმა, ამჯერÐÓ მერიებმა ჩაანაცვლეს. მერე სამტრედიის რაიონის მაგიერ სამტრედიის მუნიციპალიტეტი დამკვიდრდა საუბარში, წერისას, ერთი შეხედვით საკვირველი არაფერია ამაში, მაგრამ...

ვსაუბრობთ, ვწერთ, იწერება – სამტრედიის, ვანის, ბორჯომის... მუნიციპალიტეტი და ამავე დროს ვწერთ, ვსაუბრობთ – სამტრედიის, ვანის, ბორჯომის რაიონული პოლიცია, რაიონული სასამართლო და ა. შ.

რაგინდ დიდი უნდა იყოს ქვეყანა, სახელმწიფო, არაა მიღებული, მის რომელიმე რეგიონში დასახლებული პუნქტის სახელწოდება სხვადასხვა იყოს, მით უფრო ხელისგულისოდენა 63 მუნიციპალიტეტისაგან, თუ რაიონისაგან შემდგარ საქართველოში.

სათქმელს უთუოდ მიხვდება მკითხველი, ბევრი რომ არ გავაგრძელო, რომელია სწორი? რაიონი? მუნიციპალიტეტი?

ლევან ბაბეჩავა

# საჩუქრები პირველი ხელფასით

თეა ბაბუნაშვილი

**იმ სახლში, სადაც ყოველდღიურობა სევდის არტახებში მოქცეულა, სადაც ცხოვრების ბობოქარი წლების შემდეგ სიმარტოვის სუსხი მზრუნველობით გამოწვდილი ხელის იმედით თბება, ყველა შემოღებული კარი უხარიათ.**

**მოხუცთა თავშესაფარში მისულების ამბავი უნდა გითხრათ. ახლად შექმნილი დაცვის კერძო სამსახურის, "ინტერსექიურითი ჯორჯიას" თანამშრომლებმა, რომლებმაც პასუხისმგებლობა რკინიგზის ობიექტების დაცვაზე აიღეს, გადაწყვეტილება მიიღეს, პირველი ხელფასით მოხუცთა თავშესაფრის ბინადრები საჩუქრებით გაეხარებიათ.**

საყოფაცხოვრებო ნივთები, რაც მათთვის საჭირო იყო, 17-ვე ბინადრისთვის შეარჩიეს და ივლისის მცხუნვარე მზით გამთბარ ერთ დღეს მოხუცთა თავშესაფარში ღიმილი შეიტანეს. ედუარდ მელია "ინტერსექიურითი ჯორჯიას" იმერეთი-გურიის რეგიონის მიმართულებას ხელმძღვანელობს. როგორც მან აღნიშნა: "ერთი დღე მაინც თუ გავულამაზეთ ამ მოხუცებს, ყურადღება ვაგრძნობინეთ, ჩვენი მისია შესრულებულია. ეს გადაწყვეტილება ერთობლივად მივიღეთ. კომპანიის გენერალური დირექტორი, გიორგი ფანგანიც შემოგვიერთდა, გარკვეული ფინანსები მისი და კომპანიის სახელით გაიღო და დღეს აქ ვართ, ამ სახლის ბინადრებისთვის ადამიანური სითბოს გასანაწილებლად."

დასავლეთ საქართველოს რკინიგზის დაცვის კომპანიის, "ინტერსიეიურითი ჯორჯიას" კურატორმა რამაზ ჩაჩუამ ისაუბრა იმაზე, რომ: "ინიციატივა კომპანიის ახალგაზრდა თანამშრომლებს ეკუთვნის, რაც განსაკუთრებულად აღნიშვნის ღირსია. მხარი ამ ინიციატივას უყოყმანოდ აუბა კომპანიის ხელმძღვანელობამ."

მოხუცთა თავშესაფრის დირექტორი, დეკანოზი შიო შეეგება სტუმრებს. მან მადლობა გადაუხადა კეთილი მიზნით მისულებს, რომელთა დიდი ნაწილი ახალგაზრდები გახლდნენ: "მადლობა მინდა ვუთხრა ამ კომპანიის ხელმძღვანელებს, გიორგი ალავიძეს, ედუარდ მელიასა და რამაზ ჩაჩუას. როგორც მათ აღნიშნეს, ინიციატივა კომპანიის ახალგაზრდა თანამშრომლებისგან მოდის, რაც ძალიან სასიხარულოა. მოხუცების, განსაკუთრებით იმ მოხუცების პატივისცემა, ჩვენს დაწესებულებაში რომ შეჰყარა ბედისწერამ, განსაკუთრებული კაცთმოყვარეობის გამოხატულებაა."

"სათნოების სახლის" პატარა აივანზე ორი მოხუცი მზეს ეფიცხებოდა. გაუხარდათ, მადლობა ჩუმად გადაუხადეს სტუმრებს. საკუთარ თავსა და წარსულზე ბევრი არაფერი გვითხრეს 80 წელს გადაცილებულებმა. დიახ, ცხოვრება გრძელდება და წარსული ისეთია, როგორიც იყო, დღეს აქ ვართ და ამ სინამდვილეს ვერსად გავურბივართო, გაგვიღიმეს ტკივილს მიჩვეულმა თვალებმა.

კარი გამოვიხურეთ და სევდა გამოვიყოლეთ, ადამიანად ყოფნის უთქმელი სევდა!

# CineDOC სკოლის მინი ფესტივალს სამტრედია მეორედ უმასპინძლებს

ნათია ნაცვლიშვილი

CineDOC სკოლა არის არაფორმალური საგანმანათლებლო სივრცე, სამტრედიის სამ საჯარო სკოლაში ფუნქციონირებს კინოკლუბები, სადაც ხდება ქართველი და უცხოელი რეჟისორების დოკუმენტური ფილმების ჩვენება, მოსწავლეები ფილმის გმირებთან და რეჟისორებთან ერთად განიხილავენ ფილმებს, ეჩვევიან ანალიტიკურ აზროვნებას, მსჯელობენ პრობლემებზე, სახავენ ამ პრობლემათა გადაჭრის გზებს, სწავლეობენ ემპათიას, უძლიერდებათ თანაგანცდის და ურთიერთპატივისცემის უნარი.

გასულ ზაფხულს სამტრედიამ უმასპინძლა CineDOC სკოლის სამდღიან ფესტივალს. ღია ცის ქვეშ ნაჩვენები იქნა დოკუმენტური ფილმები, მოსწავლეებმა მოაწყვეს მათი განხილვა. ფესტივალს სტუმრობდნენ CineDOC სკოლის დამფუძნებელი არჩილ ხეთაგური და ამ სკოლის სხვა წარმომადგენლები, მათ მოსწავლეებს ჩაუტარეს მასტერკლასები.

წლეულს სამტრედია კვლავ უმასპინძლებს CineDOC სკოლის მინი ფესტივალს 1, 2, 3 სექტემბერს. თუ შარშან მხოლოდ პირველი საჯარო სკოლა, მისი პედაგოგი, ეკატერინე შვანგირაძე და სკოლის ადმინისტრაცია იყო ფესტივალის მთავარი მასპინძელი, უკვე წლეულს CineDOC სკოლის კლუბები მე-6 საჯაროსა და დანირის სკოლებშიც დაფუძნდა და ამ ფესტივალში ისინიც ჩაერთვებიან.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიაში გამართული შეხვედრა სწორედ ამ ფესტივალს მიეძღვნა, მერმა დავით ბახტაძემ CineDOC სკოლის დამფუძნებელს, არჩილ ხეთაგურსა და ილიანა სტანკულესკუს უმასპინძლა. მათთან ერთად იმყოფებოდნენ მენტორი პედაგოგები ეკა შვანგირაძე, ნინო ჭვალაძე და ნინია ნიკოლეიშვილი, ასევე, აქტიური მოსწავლეები: მონიკა შუბლაძე, გიორგი ნუცუბიძე, მათე კიზივაძე, მიხეილ კალაძე, ტატო თავაძე, ვაკო მუქერია.

შეხვედრას დაესწრნენ მერის მოადგილე გიორგი მეიშვილი, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი, ნატალია მანჯგალაძე და საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენელი, ალექსანდრე თევზაძე.

"'სამტრედიის მაცნე" CineDOC სკოლის მენტორ პედაგოგს, ეკატერინე შვანგირაძეს გაესაუბრა:

"ამ ფესტივალის მიზანია, საზოგადოებას გააცნოს CineDOC სკოლის საქმიანობა, მოსწავლეებმა დიდ ეკრანზე ნახონ საინტერესო ფილმები, ანიმაციები, შეხვდნენ ფილმების რეჟისორებს, გამართონ ფილმის გადაღებისა თუ გახმოვანების საინტერესო ვორკშოპები, გამართონ დისკუსიები, მოაწყონ საინტერესო აქტივობები და რაც მთავარია, ეს ფესტივალი გახდეს მდგრადი.

ბოლო პერიოდში ჩვენება სამივე სკოლამ ნიკოლაძის სახლ-მუზეუმში გავმართეთ, ძალიან მოეწონათ ეს ადგილი CineDOC სკოლის წარმომადგენლებს, ამიტომ ვესტუმრეთ მუზეუმს, სადაც მოიხიბლნენ ნიკო ნიკოლაძის, როგორც უდიდესი ევროპელი ქართველის ღვაწლით, გიორგი ფანცულაიას საინტერესო მონათხრობმა წარუშლელი შთაბეჭდილები დატოვა სტუმრებზე".

მუნიციპალიტეტის მერმა, დავით ბახტაძემ მხარდაჭერა აღუთქვა ფესტივალის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს: "დოკუმენტური ფილმების ფესტივალს მერიის მაქსიმალური მხარდაჭერა ექნება, მივესალმებით ყველა საინტერესო ახალგაზრდულ ინიციატივას, მით უმეტეს, თუ იგი ასეთი შემეცნებითი და საგანმანათლებლო ხასიათისაა, მადლობა ამ საქმის ორგანიზატორებს, წარმატებებს ვუსურვებთ ჩვენს ახალგაზრდებს!"

# ფოტოსურათებით ნათქვამი საკუთარ გრძნობებზე

თეა ბაბუნაშვილი

**რაც თავი ახსოვს, ახსოვს ფოტოაპარატიც და რაც თავი ახსოვს, იგი მისთვის ყველაზე საყვარელი გასართობია. უფრო ზუსტად, გასართობი იყო, შემდეგ საინტერესო და საჭირო ნივთი გახდა. ბოლოს მამის, ვაჟა კაცაძის პროფესია საკუთარ პროფესიად აქცია. მართალია, ტურიზმის მენეჯმენტი შეისწავლა, მაგრამ ფოტოგრაფიამ ყველაფერი გადაფარა და "შუქით წერა" მისი თვითმყოფადობის ორიგინალურად გამომსახველი საშუალება გახდა. "ზენიტიდან" დაიწყო მის ცნობიერებაში ფოტოგრაფია და ფოტოფირიდან თანამედროვე მაღალტექნოლოგიურ ფოტოაპარატამდე ყველა საფეხური განვლო. პორტრეტები, ფოტოეტიუდები, პეიზაჟები, ბავშობიდან აღიბეჭდებოდა მის ფირზე, რომელსაც ყველაზე საინტერესო და საყვარელ ნივთად მიიჩნევდა მამის სახელოსნოში.**

**ნათია კაცაძემ ჩემს სათქმელს ასე გეუბნებით, ჩემს ამბებს, ჩემს გრძნობებზე ასე გიყვებითო, ჩემი სასაუბრო ენა შავ-თეთრი და ფერადი ფოტოა, რადგან მას მეტი გამომსახველობა აქვსო, გვითხრა.**

5 წლის წინ ფოტოგრაფია კომერციულ საქმიანობად გაიხადა. განსაკუთრებული და ღირსშესანიშნავი დღეების ფირზე გადატანა კარგად გამოსდის. მისი ფოტოაპარატით შეჩერებული წამი ადამიანებს საკუთარი ცხოვრების საუკეთესო წუთების მარადისობად ქცევის საშუალებას აძლევს. გადაწყვეტილად ვერ ამბობს სილამაზის შეგრძნებამ გაუმძაფრა მისი ფირზე აღბეჭდვის სურვილი, თუ ფირზე აღბეჭდილმა მარადისობამ სილამაზის აღქმის უნარი, მაგრამ იცის, რომ ეს ორი მცნება ერთად გააერთიანა და ფოტოებს ანდო შემოსანახად.

პროფესიონალი ფოტოგრაფი არ არის, მაგრამ ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ამ სფეროს პროფესიონალურ დონეზე დაეუფლოს. ეცნობა თეორიულ მასალას და ყოველდღიურად ხვეწს პრაქტიკას. ამიტომაც, სულ ახლახან საკმაოდ პრესტიჟული ონლაინ კონკურსის გამარჯვებული გახდა. ფეისბუქ პლატფორმაზე ხელოვან ქალთა ციფრულ გამოფენაში მონაწილეობის მისაღებად ეპატიჟებოდნენ მსურველებს. კონკურსში სხვადასხვა ქვეყნის პროფესიონალი და მოყვარული ფოტოგრაფი ქალები მონაწილეობდნენ. რეგისტრაცია გაიარა და საკუთარი ორი ფოტო შესთავაზა კონკურსის ჟიურისა და დამთვალიერებელს. "მოხუცი ბებო სამტრედიიდან" და "აჭარელი პატარძალი" ამ გამოფენის "მონაწილე" ფოტოები გახდნენ. კონკურსში მონაწილეობის პირველივე მცდელობა წარმატებული აღმოჩნდა ნათია კაცაძისთვის. "მოხუცი ბებო სამტრედიიდან" კონკურსის საგამოფენო კატალოგში შევიდა და მომავალი წლიდან აუქციონზე გაიყიდება. ფოტოების ავტორს კონკურსის სერტიფიკატიც გადაეცა და მონაწილეობის მისაღებად სამომავლოდაც მიიღო მიწვევა.

ორი შვილის დედას განსაკუთრებულად სიამოვნებს საკუთარი მცირეწლოვანი ვაჟის ამ სფეროთი დაინტერესება.

სამომავლო გეგმებსაც ფოტოგრაფიას უკავშირებს. პროფესიონალად ჩამოყალიბებისთვის ყოველდღიურად რომ მუშაობს საკუთარ თავზე, უკვე გითხარით. გარდა ამისა, გადაწყვეტილი აქვს, თავისი პირველი ფოტოპროექტი სამტრედიას მიუძღვნას. მის განხორციელებას მომავალი წლისთვის გეგმავს.

მანამდე კი, ფოტოსურათებით შავ-თეთრ და ფერად ფერებში მოსაუბრე ნათია კაცაძე საკუთარი ორიგინალურობით ცდილობს გვითხრას ის, რასაც სხვები სიტყვებით, სტროფებით, ფერთა გამით, მუსიკალური ნოტებით გვეუბნებიან. ფოტოგრაფია მისთვის ხელოვნების რანგში აყვანილი ყველაზე საყვარელი საქმეა.

# პირველსკოლელების პროექტი მუნიციპალიტეტის მერიაში

ნათია ნაცვლიშვილი

სამტრედიის პირველი საჯარო სკოლის მეათე ა კლასის მოსწავლეებმა გეოგრაფიის პედაგოგ ზოია ჯანაშიას ხელმძღვანელობით საინტერესო და აქტუალური პროექტი განახორციელეს. საკითხის შინაარსიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, მოსწავლეებმა პრეზენტაცია მუნიციპალიტეტის მერიაში მოაწყვეს.

ანასტასია სპირანტი, პირველი საჯარო სკოლის მეათე ა კლასის მოსწავლე: "ჩვენ შევქმენით მწვანე ბიზნესის პროექტი სამტრედიაში სახელწოდებით "ბიზნესის ახალი პერსპექტივა. "ჩვენი მიზანია, შევამციროთ ნარჩენების რაოდენობა სამტრედიაში და ამ საყოფაცხოვრებო ნარჩენების გამოყენებით მეწარმეობას შევუწყოთ ხელი. ქუთაისში შენდება ნარჩენების გადამმუშავებელი სადგური და ვაპირებთ სამტრედიაში ავამაღლოთ მოსახლეობის ცნობიერება საყოფაცხოვრებო ნარჩენების კლასიფიკაციის შესახებ."

უჩა ვაშაკიძე: "უღრმესი მადლობა ბატონ დავით ბახტაძეს, ჩვენი პროექტის ორგანიზატორს, ქალბატონ ზოია ჯანაშიას, ჩვენთვის ყველაზე აქტუალური თემაა ნარჩენების გადამუშავება და აქედან ელექტროენერგიის მიღება, ეს აისახება ეკონომიკაზეც და გარემოზეც."

ზოია ჯანაშია: "მრავალი ევროპული სახელმწიფო, შვედეთი, მაგალითად, ელექტროენერგიას ღებულობს გადამუშავებული ნარჩენებით და სხვა სახელმწიფოებიდანაც ყიდულობს ხშირ შემთხვევაში. ქართველები ერთადერთი ერი ვართ, ყველაზე დიდი რაოდენობით ყველა რესურსს რომ მოვიხმართ. თუკი მოხდება ნარჩენების გონივრული გადამუშავება, ლიდერი ქვეყანა ვიქნებით ამ მიმართულებით, მისი გამოყენება ფართო სპექტრით შეიძლება. იაპონია ამზადებს სხვადასხვა სპორტულ ტანსაცმელს, ულამაზესია ნაგვის ნარჩენებიდან წარმოქმნილი კუნძულები – მაშკუჭის ნაგავსაყრელი.

მთავარი არის ის, რომ "კომპლექსური დავალების" შესრულებისას მოსწავლეებიდან წამოვიდა ეს ინიციატივა. ადამიანის გონებაში მაინც ნარჩენები ასოცირდება ნაგავთან, მაგრამ ამასაც ჰქონია დადებითი მხარე. ინფორმაცია რომ მოიძიეს, აღმოჩნდა, რომ 2023 წლის ბოლოს ქუთაისში უნდა დამთავრდეს ნარჩენების გადამმუშავებელი ქარხნის მშენებლობა, მანამდე უნდა მოხდეს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ნაგვის კლასიფიკაციის თაობაზე. გვსურს მერიას წარვუდგინოთ პროექტი: ავიღოთ ერთი ზონა, ჩვენ მოვახდინოთ მოსახლეობის ინფორმირება, ბროშურებით და ვიდეორგოლით, დავდგათ ურნები და ვნახოთ, რამდენ ხანში მოახდენენ ნარჩენების კლასიფიკაციას."

მუნიციპალიტეტის მერი დაინტერესდა ახალგაზრდების ინიციატივით და მხარდაჭერა აღუთქვა მათ.

## ვისაც ლიტერატურა უყვარს

# “წიგნი სამყაროსადმი ხედვას გვიფართოვებს”

ნათია ნაცვლიშვილი

*ჩვენს რუბრიკას ნაბაკევის საჯარო სკოლის ინგლისურის პედაგოგი და დირექტორის მოადგილე, აკაკი წულაია, სტუმრობს. ახალგაზრდა და ნიჭიერი კაცი მასწავლებლების შესვლა ქართულ სკოლაში, ვფიქრობთ, მხოლოდ დადებითად აისახება ჩვენს საგანმანათლებლო სისტემაზე. აკაკი პროფესიით ეკონომისტია, თუმცა მრავალმხრივმა ინტელექტმა საშუალება მისცა, ინგლისურის პედაგოგიც გამხდარიყო.*



**– წიგნი რა ფენომენია თქვენთვის?**

– ფენომენია, რომელიც გვაძლევს საკუთარი თავის შემეცნების შესაძლებლობას. საკუთარი თავის განვითარებისკენ არის მიმართული ქმედება, როცა ადამიანს უნდება ბავშვობის დროს სურვილი, წაიკითხოს წიგნი და ახალი გამოცდილება შეიძინოს. წიგნი იმიტომ კი არ უნდა წავიკითხოთ, ვინმეს ვუთხრათ და თავი მოვიწონოთ, წიგნის წაკითხვისას ჩემთვის მნიშვნელოვანია ავტორისეული იდეა, რისი სწავლებაც ავტორს უნდა ჩვენთვის. “სამი მუშკეტერი” მოკლე პერიოდში წავიკითხე, (ძალიან ცნობისმოყვარე ვარ, ყველაფერი ადრე მინდა გავიგო) და ერთ წელიწადში არ მახსოვდა შინაარსი. ვფიქრობდი, რა აზრი აქვს, თუ მალე დამავიწყდება-მეთქი, მაგრამ რომ წამოვიზარდე, მივხვდი, რომ რეალურად მნიშვნელოვანი არის იდეები და არა შინაარსი. წიგნი ჩვენ გვზრდის სულიერად, პიროვნულად, ახალი კუთხით დაგვანახვებს სამყაროს, სამყაროს ხედვა ხომ სუბიექტურია, ნებისმიერი ადამიანი სამყაროს თავისი თვალით ხედავს, სამყარო იმდენია, რამდენი აღმქმელი ადამიანიც არსებობს და წიგნის კითხვა გვეხმარება ჩვენეული დამოკიდებულების გამოხატვაში სამყაროს მიმართ. ახალი წიგნი სამყაროსადმი ხედვას გვიფართოვებს. ყოველთვის იცვლებოდა ჩემი ხედვები დროის გასვლისთანავე, განსხვავებულად ვაზროვნებდი, არ შემოვიფარგლები მხატვრული ლიტერატურით, ყველას აქვს საყვარელი სფერო და ჟანრი.

**– თქვენი საყვარელი ჟანრი?**

– დავიწყე მხატვრული ლიტერატურით, მაგრამ ახლა ვკითხულობ სხვადასხვა ფილოსოფიურ ტექსტებს, ფილოსოფოსების გამონათქვამებს, ცხოვრებისადმი დამოკიდებულებაა ფილოსოფია, ის აღწერს პოლიტიკურ სისტემებს, მოგეხსენებათ, ძველი ბერძნული ფილოსოფია ძველ ბერძნულ დემოკრატიულ მოწყობაზე ახდენდა გავლენას. მე მიმაჩნია, რომ ადამიანმა არ უნდა ამოიჩემოს და თქვას, რომ რომელიმე ფილოსოფოსს ყველაფერში ეთანხმები, არ არსებობს ადამიანი, რომელიც ყველაფერში მართალია, როცა ვკითხულობ ფილოსოფოსთა ნააზრევს, ვცდილობ, ჩემი გონებით განვსაჯო, ვის დავეთანხმო და ვის –არა.

**– ბოლოს ვის დაეთანხმეთ?**

– ნიცშეს გარკვეულ საკითხებში დავეთანხმე, გარკვეულ საკითხებში – არა, ნიცშე მომეჩვენა ცოტა გულქვა ადამიანად, რომელსაც თითქოს გრძნობები არ გააჩნია. არ ვამბობ, რომ მასზე ჭკვიანი ვარ, რა თქმა უნდა, ვერ ვიქნები მასზე ჭკვიანი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, ჩვენზე ჭკვიან ადამიანს ყველაფერში დავეთანხმოთ. თუ ჩვენზე ჭკვიანს დავეთანხმეთ, გამოდის, რომ ამ ადამიანის მონა ვართ. დამოუკიდებელი აზროვნება სწორედ იმას გულისხმობს, ყველა ჭკვიან ადამიანს მოვუსმინოთ, მაგრამ დასკვნა თვითონვე გამოვიტანოთ.

**– რაშია ნიცშეს გულცივობა?**

– ის სასტიკად ხატავს სამყაროს, ალბათ, ყოველთვის ასეც არ არის, თუმცა ნიცშე უფრო რეალისტია, ვიდრე იდეალისტი. პირადად მე მაკვირვებს ძველი ბერძნების ფილოსოფიიდან რამხელა წყვეტა იყო შემდეგ დიდ ფილოსოფოსებამდე. შუა საუკუნეების პერიოდი თითქმის დაიკარგა, ფილოსოფიის განვითარების შეფერხება აისახა საზოგადოების განვითარების შეფერხებაზე. ეს პერიოდი იყო განვითარების ნელი ტემპით გამორჩეული, ვიდრე არ წამოვიდა რენესანსი. ახალი იდეები, აზრები ბადებს განვითარების ახალ ეტაპებს. დღეს თითქოს წინამდებარე ადგილები დაკარგა ფილოსოფიამ, დღევანდელი ფილოსოფია არის წმინდა მატერიალიზმი, რასაც საფუძვლად უდევს მიმბაძველობა ადამიანებში, რასაც ხელი შეუწო სოციალურმა ქსელებმა.

**– სოცქსელების სასიკეთო გავლენაც დიდია საზოგადოებაზე – წინ გადმოგველაგა მთელი ლიტერატურული ნააზრევი, უცებ შემოიჭრება ამ ქსელებში ახალი ლიტერატურული სამყარო...**

– მე ვიგულისხმე სოციალური ქსელების გავლენა ადამიანის ქცევებზე და არა ლიტერატურის გავრცელება.

**– თუ სწორად გავიგე, მატერიამ დაჩაგრა იდეა, სულისკენ ლტოლვა შეცვალა ფულისკენ, მატერიისკენ ლტოლვამ,იმიტომ ხომ არა, რომ უფრო დავშორდით წიგნს?**

– სოცქსელებმა წიგნის კითხვისადმი ინტერესი შეანელა, თუმცა, თუ არ წაიკითხავ, მოსმენაც შეიძლება, ჩემთვის ეს უფრო მოსახერხებელია, ბოლოს ორიგინალში მოვისმინე წიგნი, რომელშიც თავისი ცხოვრებისეული გამოცდილება აქვს გაზიარებული ავტორს. “ფეხებზე დაკიდების ნატიფი ხელოვნება” ასე ჰქვია წიგნს. თანამედროვე ტექნოლოგიებს უარყოფითთან ერთად აქვს დადებითი გავლენაც, რაც გვაძლევს ცოდნის მიღების დიდ შესაძლებლობას. ვფიქრობ, ადამიანებმა არ უნდა შეწყვიტონ განვითარება.

**– ქართველ ავტორებს უფრო სწყალობთ თუ უცხოელებს?**

– უამრავი წარმატებული და ძლიერი ქართველი მწერალი გვყავს, რომელთა ნაწარმოებების შესწავლა გვეხმარება განვითარებასა და პიროვნულ სრულყოფაში, ასევეა უამრავი უცხოელიც. ქართველი მწერლების წაკითხვა მნიშვნელოვანია, მათი თემატიკა, უმეტესწილად, პატრიოტულია, თუმცა ყველა დიდ ქართველ მწერალს აქვს ზოგადკაცობრიული იდეებიც, უცხოელებს სხვა კულტურა აქვთ, ქართველებს – სხვა. მომწონს იაპონელი ჰარუკი მურაკამი, შეიძლება ვერ ვიცლი წიგნის წასაკითხად, მაგრამ ანოტაციას ყოველთვის ვკითხულობ, წიგნის შინაარსზე უფრო მისი იდეა მიზიდავს.

**– არც მთავარი გმირები გახსოვთ, ან ეკრანიზაცია?**

– დიდხანს არ მამახსოვრდება, მხატვრული ლიტერატურის თავისებურება ისაა, რომ ადამიანებს იტაცებთ შინაარსობრივი მხარე და ეს ატყუებს მათ, ფაქტებს აქცევენ ყურადღებას, ვურჩევდი, ნუ მიყვებიან ფაქტობრივ გარემოებებს, აღიქვან, რა იყო მწერლის სათქმელი. “სამ მუშკეტერში” აღწერილია, რა პრობლემები იყო იმ დროის საფრანგეთში, რა სოციალური დამოკიდებულებები. იქ რომ ვხედავთ კარდინალ რიშელიეს, რომელიც არის გადაგვარებული, გათავხედებული სამღვდელო პირი, აქედან უნდა გამოვიტანოთ დასკვნა, სამღვდელოებამ შეიძლება გამოიყენოს ძალაუფლება ბოროტად.

**– რომელი თანამედროვე ქართველი მწერლის ნაწარმოებით დაინახავდით დღევანდელ საქართველოს?**

– ცოტა წინ გადავიხედავ... ვფიქრობ, ილიას და მიხეილ ჯავახიშვილის აზრები კვლავ აქტუალურია, ადამიანი წინ რომ არ აყენებს პირად მატერიალურ მდგომარეობას, მისთვის ქვეყანაა მთავარი, ეს საკითხები დღესაც აქტუალურია. ორი საუკუნეა, რუსეთის ფრთებქვეშ ცხოვრებამ დაგვავიწყა დამოუკიდებელი ცხოვრება და დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ გაგვიჭირდა თავისუფლად სიარული, ამიტომ ერი არის გახლეჩილი, გვაქვს დაპირისპირება.

**– ერის გამთლიანებაში და კულტურულ სრულყოფაში შეაქვს დიდი როლი ლიტერატურას?**

– რა თქმა უნდა, ქართველი მწერლები, რომლებიც დავასახელე და სხვა დანარჩენებიც, მოგვიწოდებენ ერთიანობისკენ, არ ყოფილა მწერალი, დაპირისპირებისკენ და შუღლისკენ რომ მოეწოდებინოს, გავიაზროთ, რისთვის წერდნენ ნაწარმოებებს...

**– განათლებით ეკონომისტს პოეზია გიყვართ?**

– დედა მათემატიკოსი მყავს, მამაც, სკოლაში კარგად ვსწავლობდი მათემატიკას, ბევრ საკითხს უფრო მათემატიკური თვალთახედვით ვუყურებ, ვიდრე ჰუმანიტარულით.

მიყვარს ლექსების წაკითხვა,12-13 წლის ასაკში ვწერდი კიდეც და შევწყვიტე წერა.

მეცხრამეტე საუკუნეში ლექსის შინაარსობრივ დატვირთვას ანიჭებდნენ უპირატესობას, გალაკტიონის შემდეგ ესთეტიკური მხარე გახდა წარმმართველი, დღესაც აქეთკენ ისწრაფვის პოეზია.

**– კონვენციურ ლექსს ერთგულობთ თუ ურითმოს?**

– სხვათა შორის,თეთრ ლექსს აქვს თავისებური ხიბლი, რადგან პოეტის ინდივიდუალიზმს ეს ლექსი უკეთ ავლენს. რითმას რომ აკეთებ, იქ წვალობ, რამდენი მარცვალი გჭირდება, სად ჩაატიო და ა.შ. ვერლიბლი კი ჩვენი სულიერი გამოძახილის უკეთ წარმოჩენის საშუალებას გვაძლევს.

ძალიან საინტერესო დეკლამატორია თემურ ელიავა, სტილით საინტერესო, მომისმენია რატი ამაღლობელიც, თავისებური განსხვავებული მიმართულება აქვს, სხვას არ ჰგავს.

**– გაქვთ საყვარელი გამოთქმა?**

– არასოდეს დანებდე!

**– მოსწავლეებთან შეგაქვთ ახალი წიგნები?**

– ვცდილობ, ინტერესი გავუღვივო მათთვის საინტერესო კონკრეტული საკითხის მიმართ, მაგალითად ვესაუბრე ასტრონომიაზე, სამყაროს მოწყობაზე. ერთმა მოსწავლემ რამდენჯერმე დამისახელა ფილმები, სადაც უცხოპლანეტელებზეა საუბარი, იმ ბავშვს გაუჩნდა მსგავსი შინაარსის წიგნის წაკითხვის სურვილი, მეორეს კი, სამედიცინო თემატიკა აინტერესებდა. ვფიქრობ, ასე უფრო შევძლებთ მათ დახმარებას, მათი ინტერესების უკეთ გააზრებასა და წარმოჩენაში...

# ანსამბლი “ჩანგი” “ოქროს არგოს” გამარჯვებულია

ნინო ნანიტაშვილი

სამტრედიის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლთან არსებული ანსამბლი “ჩანგი” მიწვეული იყო ქალაქ ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრში, სადაც გაიმართა საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსი “ოქროს არგო”.

ფესტივალში მონაწილეობას იღებდნენ როგორც ქართველი, ასევე უცხოელი კონკურსანტები აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, უკრაინიდან, თურქეთიდან და სხვა ქვეყნებიდან. მათ, ძირითადად, წარადგინეს თავიანთი ქვეყნების ხალხური შემოქმედება, რაც სანახაობრივად ძალიან ლამაზი იყო. ანსამბლმა “ჩანგი” წარადგინა ორი თაობა, უმცროსი დებიუტანტები, რომლებმაც შესანიშნავად შეასრულეს ორი ნომერი – “ტაშფანდურა”, რომელიც რამდენიმე წელია, საფესტივალო ნომრებში არ აჟღერებულა და “ძველი ქართული საცეკვაო”. უფროსი თაობის ანსამბლმა კი წარადგინა “ძველი თუშური მელოდიები” და “მატარებელი”. ეს სიმღერებიც თითქმის დავიწყებას მიეცა.

“ანსამბლი “ჩანგის” ერთ-ერთი წარმატების საწინდარი იყო ქალბატონი ტატა გოგუაძის, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორის, მიერ შეძენილი მუსიკალური საკრავები, რომლებიც გამოყენებული იყო პირველად ამ ფესტივალზე. ამ საკრავებმა ულამაზესი ჟღერადობა და სიძლიერე შესძინა ნაწარმოებებს”. – “სამტრედიის მაცნესთან” კომენტარში განაცხადა ანსამბლის ხელმძღვანელმა, მერი ტკვაცირიამ.

ანსამბლმა მოიპოვა პირველი ადგილი და თითოეული მონაწილე დაჯილდოვდა მედლებით,დიპლომებით და “ოქროს არგოს” თასით.

# “ორუდილას” დაუვიწყარი საღამო დიდ სცენაზე

ნინო ნანიტაშვილი

“ანი და ბანი, აფრინდა ფრანი” – ამ სახელწოდებით გამართა შოუ-პროგრამა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ბავშვთა შემოქმედებითმა გაერთიანება “ორუდილამ” 26 ივნისს ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრში.

დარბაზი მაყურებელს ვერ იტევდა, რადგან კომპოზიტორ ნონა ჭახნაკიას მისი ნიჭისა და შემოქმედების თაყვანისმცემლები მრავლად ჰყავს ჩვენს ქალაქში.

წლის შემაჯამებელი კონცერტი ტრადიციულად ყოველ წელს იმართება. წელსაც “ორუდილას” სამმა თაობამ შეასრულა სხვადასხვა ჟანრის სიმღერები უცხოური და ქართული რეპერტუარიდან.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ბავშვთა შემოქმედებითი გაერთიანება “ორუდილას” უფროსი თაობა, მხიარული ონავრები და ცეროდენები. ბავშვებმა გაალამაზეს სცენა სიმღერებით და ცეკვებით. ასევე, ულამაზესი წარმოდგენა გვიჩვენეს შოუ-ბალეტ “ფანტაზიის” მოცეკვავეებმა.

ანსამბლი “ორუდილა” უკვე 29 წელია, აფრთიანებს სამტრედიელ პატარებს, რომლის მუსიკალური ხელმძღვანელია ნონა ჭახნაკია, სამხატვრო ხელმძღვანელი – ელიკო ანკვაბი, ქორეოგრაფი – ნანა ბებია, დირექტორი – ტატა გოგუაძე.

განსაკუთრებული ორიგინალურობით გამოირჩეოდა ნომრები, რომელშიც ბავშვებმა კოსტიუმირებულად წარმოადგინეს საქართველო, “დები იშხნელები”, “ქეთო და კოტე”, “გიმნაზისტკები”. აღსანიშნავია ანსამბლ “ორუდილას” ყველაზე პატარა წევრი, 4 წლის ნინო თევზაძე, რომელმაც დარბაზის მხრიდან დიდი ოვაციები დაიმსახურა. ყველაზე პატარა “ორუდილელმა” ჩუნგა-ჩანგა იმღერა. ქართულ ნომერს ვოკალურად აფორმებდა ანსამბლის უფროსი თაობა.

“სამტრედიის მაცნემ” კონცერტის ბოლოს მაყურებლის შთაბეჭდილებები ჩაწერა. კმაყოფილებას ვერ ფარავდა “ორუდილას” წევრის, ელენე კვანტალიანის დედა. მეთორმეტე საჯარო სკოლის პედაგოგი, სოფო მიქელაძე აღფრთოვანებული გვესაუბრა და იქვე მადლობა გადაუხადა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ადმინისტრაციას, კომპოზიტორ ნონა ჭახნაკიას: “ორუდილას” შემოქმედებითმა ჯგუფმა კიდევ ერთი ლამაზი,მხიარული და სასიამოვნო დღე გვაჩუქა. ჩემი 5 წლის გოგონა, ელენიკო კვანტალიანი პირველად გამოვიდა სცენაზე. პედაგოგებმა შეძლეს ყველა მოსწავლის სასცენო უნარ-ჩვევების წარმოჩენა. დიდი მადლობა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლს, ეს არის ადგილი, სადაც მოსწავლეებს შეუძლიათ თავიანთი ნიჭის გამოვლენა პროფესიონალი მასწავლებლების დახმარებით. ახალი სასწავლო წლიდან კვლავ გავაგრძელებთ მეცადინეობას “ორუდილაში”. მჯერა, კიდევ ბევრ დაუვიწყარ საღამოს ვიხილავთ დიდ სცენაზე”.

# ყველაფერი საუკეთესო ბავშვებს!

თითქმის ორმოცი წლის წინ, ჯერ კიდევ მელაურის ვანო სტურუას სახელობის კოლმეურნეობის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ, საბავშვო ბაღი გაიხსნა, რაც ამ მჭიდროდ დასახლებული უბნისათვის მართლაც რომ კარგი საჩუქარი იყო.

ქალბატონი იზო ხუჭუა იყო ბაღის პირველი გამგე. 2007 წლიდან დღემდე, ქალაქის მე-6 ბაღის მმართველად ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებული,ორი შვილის დედა, ლინა შენგელია მუშაობს.

“დღეისათვის ბაღში 28 აღსაზრდელია, ბავშვები კულაშიდან, ქალაქიდან, მომიჯნავე უბნებიდანაც მოდიან ჩვენთან. სველი წერტილები მოწესრიგებულია, კვება იდეალურია, ჩემი ორივე ბავშვი ამ ბაღის აღსაზრდელები არიან. ეზო, ასე თუ ისე, მოვაწესრიგეთ, სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებიდან ყოველდღიურ ყურადღებას ვგრძნობთ. ბავშვები, მათი მშობლები კმაყოფილები არიან ბავშვებისთვის შეთავაზებული რაციონით”. – გვეუბნება ბაღის მმართველი და სამადლობელს არ იშურებს მათი მისამართით, ვინც ყველაფერს აკეთებს საიმისოდ, რომ აღსაზრდელებს შესაფერისი გარემო შეუქმნან.

თერთმეტი თანამშრომელია ბაღში, მასწავლებლებს, ექთანს გადამზადება უკვე ჩაუტარდათ, ახლა ყველაფერს ვაკეთებთ საიმისოდ, რომ 2029 წლამდე ავტორიზაცია გავიაროთო. – საუბარს განაგრძობს ლინა შენგელია. ბაღში სისტემატურად ტარდება დაგეგმილი ღონისძიებები, გამოსაშვები ღონისძიება კი შეკვეთილში, მუსიკოსთა პარკში გავმართეთ და ექსკურსიაც ვაჩუქეთ პატარებსო, – ამბობს იგი.

ბაღის მმართველს უჭირს თანამშრომელთაგან ვინმე გამოარჩიოს, მაგრამ აღმზრდელის, ქეთევან ბახტაძის მისამართით მაინც განსაკუთრებულად საუბრობს, რომელიც მისი თქმით სიახლეთა მაძიებელი მზარდი კადრია.

13 ბავშვს დაულოცავენ წელს სკოლისაკენ მიმავალ გზას მე-6 ბაღის პედაგოგები, ახალი საალმზრდელო წლისათვის ამჯერად 13 განაცხადია შესული.

ძალუმად აჭერს ივნისის თაკარა მზე. გრილ შენობაში შეყუჟულან პატარები მათზე მზრუნველი სათნო ქალბატონები, მერე კი როცა აგრილდება, ეზოში გამოეფინებიან, ვიდრე კიდევ ერთი ხალისიანი დღე არ დასრულდება.

აღსაზრდელების სიმრავლეს და წარმატებებს ვუსურვებ მე-6 ბაღის მესვეურთ.

ვიმედოვნებთ, წლების შემდეგ აქ აღზრდილი პატარები სიამოვნებით გაიხსენებენ ბაღში გატარებულ წლებს, მათზე თავდავიწყებით შეყვარებულ აღმზრდელებს.

ლევან გაბეჩავა

# ”ეს ლამაზი საქართველო ჩემი მოსავლელია”

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მეთერთმეტე ბაგა-ბაღის უფროსი ჯგუფის გამოსაშვებ ზეიმს დავესწარით, ულამაზეს სივრცეში, უმშვენიერეს ეზოში, რომელიც თავად აღმზრდელებს სანახაობებით დატვირთულ გარემოდ უქცევიათ. სამბას ცეცხლოვანი ჰანგების თანხლებით შემოვიდნენ სცენაზე დედები და შვილები და ხალისიანი ფლეშმობით გახსნეს ღონისძიება.

უმშვენიერესი ქართული ცეკვების პოპური შესრულდა, უმღერეს კაშკაშა მზეს, სიმღერ-სიმღერით გადაიარეს მაღალი ტყეები, უმღერეს ჭიამაიას, პიროობა დაგვიდეს: ეს მიწა და ეს მთა-ბარი ჩვენი მოსავლელიაო!

ორი წლის წინ ამ ბაგა-ბაღის აღსაზრდელებმა პირველებმა შექმნეს საბავშვო ორკესტრი და ბრწყინვალედ შეასრულეს ქართველ კომპოზიტორთა კომპოზიციები, ამჯერად დია ცის ქვეშ მოწყობილ ორკესტრს, “ანაბანას”, მუსიკის პედაგოგმა, მაია გურიელიძემ უდირიჟორა, პატარებმა ზაქარია ფალიაშვილის “დაისი” შეასრულეს. ორკესტრანტებმა თავადვე შექმნეს ინსტრუმენტები და გაეცვნენ ყველა მათგანის დანიშნულებას. ყველა აქტივობაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი აღმზრდელი მაია მეგენეიშვილი და აღმზრდელის თანაშემწე ნანა გაგუა. ქალბატონი მაია მშობლებმა საუკეთესო აღმზრდელის დიპლომით დააჯილდოვეს.

პატარებმა მართლაც ულამაზესი ფერები შეჰმატეს სამყაროს, დაუდალავად იცეკვეს, იმღერეს, ფოიერვერკებიც გაუშვეს, ტორტიც გაჭრეს და ბოლოს აღმზრდელებმა მათ ბაღის პერიოდის ამსახველი ფოტოალბომებიც გადასცეს. ბაგა-ბაღის დირექტორმა, თეა წვერავამ მიულოცა პატარებს ბაღის დასრულება და წარმატებები უსურვა, მან ასევე მადლობა გადაუხადა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებიდან მობრძანებულ სტუმრებს. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების შესყიდვების კოორდინატორი, ქეთევან ივანაშვილი:

“მოგესალმებით ბავშვებო, პედაგოგებო, მშობლებო, უღრმესი მადლობა ამ სანახაობისათვის, მადლობა, რომ ასეთი კარგები ხართ, წარმატებით აგრძელებთ ქალბატონი გოგოლას გზას. ეს არის ერთ-ერთი საუკეთესო ბაღი,მართლაც არაჩვეულებრივი ღონისძიება იყო. მადლობა მუნიციპალიტეტის მერს,რომელსაც, რომ იტყვიან, ქალაქის პულსაციაზე ყოველთვის ხელი უდევს. ჯერ კიდევ არ ვართ იმ დონეზე, რასაც ითვალისწინებს ევროსტანდარტები, მაგრამ მალე ყველაფერი უკეთესად იქნება. დაგილოცავთ გზას, ცხოვრების დიდ ასპარეზზე გასვლას,მინდა ცხოვრება ისეთივე ლაღი იყოს თქვენთვის,როგორც დღევანდელი დღე იყო, თქვენ ხართ ჩვენი ქვეყნის ხვალინდელი დღე, დედა ღვთისმშობელი გფარავდეთ!”

მარინა ბაღდავაძე, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების მეთოდისტ-კოორდინატორი:

“აქ ყველა აქტივობა იყო ძალზე საინტერესო, ყველაფერი იყო პატარების, პედაგოგების და მშობლების ერთობლივი შრომის შედეგი! მივესალმები და შევაქებ თქვენს ნიჭიერებას!”

ნათია ნაცვლიშვილი

# შთაგონება რეალობად იქცა




საოცრებათა სამყაროში მოვხვდი. “ათას ერთი სონეტი”, ჩვენი უნიჭიერესი თანამემამულე ქალბატონის, მანანა ტონიას შემოქმედებაა. ხმამაღლა ვიტყვი, შედევრი.

საქართველოს მწერალთა კავშირის წევრის, 16 წიგნის ავტორის, მანანა ტონიას სონეტები 2022 წელს გამოიცა გამომცემლობა “მერიდიანის” მიერ.

როგორც ავტორი აღნიშნავს, “...შთაგონება რეალობად იქცა და პოეტურ პწკარებში საოცარი სიყვარულით და სითბოთი იკითხება”.

მართლაც ასეა. სონეტების ამ კრებულმა “1001 ღამე” გაათენა, მოძალებული ფიქრებით, განცდებით, წრფელი ქალური, ადამიანური სულისკვეთებით და როგორც თავად ამბობს, თითოეული სტრიქონი სიყვარულის ფანტაზიითაა გაჯერებული. ამას მკითხველი თავად შეაფასებს.

ბუნებრივია, ნიჭიერებას, შემოქმედებით შესაძლებლობებს საზღვარი არა აქვს. ასეა ამ შემთხვევაშიც:

“დავწერ და გეტყვი, ვერ ავიტან
ტყუილს, უკუთქმას,
ამ ჩემ სიყვარულს შემოვაევლებ
ოქროს ჩუქურთმას”.

ქალბატონი მანანა ღრმად იხედება ადამიანის სულში და არ ერიდება თავის სათქმელს:

“რაც მეტად ბრწყინავს, განა ყველა რკინა ოქროა?

ან ყველა კაცი მებრძოლია, შფოთის ამტეხი?

ხედავ ძვირფას ქვას, გაწმენდამდე ფერით ბორდოა

და ლალის ნაცვლად,ხელთ შეგრჩება შუშის ნატეხი.

დასაფიქრებელია ცხოვრება, ყოველდღიურობა. ავტორი ამის არაერთ მაგალითს წარმოაჩენს.

მუზა, რომელიც კვლავაც ღვივდება, უმდიდრესი ლექსიკა,შედარების ფორმა, რეალური ხედვა, შესაშური ფანტაზია და ენერგია მიიზიდავს მკითხველს და საქართველოს საზღვრებს გასცდება.

“საძაგლობაა და სიფლიდე ძმათა სიცრუე,

ცხარე ცრემლით რომ გატირებს და გულსაც გიცრუებს”.

“კაცი თუ გქვია, უნდა იყო გმირი,
უზადო,
შენთვის კი არა, შენს სამშობლოს
შვილნი უზარდო”.

“ცხოვრების კრედო გამოიცნო, განა რთულია,
მისი თავიც და ბოლოც მხოლოდ სიყვარულია”.

“ბედნიერება არის, როცა სულს ემღერება,
სისხლით ნათესავ წრეში რომ ხარ
და გრძნობებს დაცლი”.

“სიყვარულით ვთხზავ ჩემს
ლექსებს და მზდაპრებს გულიანს
ნუ გიკვირს, ჩემთვის,
ზამთარშიც კი ეაზაფხულია”.

“ჯავრი იყარა სიყვარულმა, ვედარ იხარა,
ვუვლიდი ვრწყავდი და მაინც ვერ ამოიყარა”.

“სონეტი ჩემი სიხარული და ჩუმი სევდა...
მონოლოგია, თეატრია ერთი ქალისთვის,
გონით წვდომაა, ამოცნობა თვით ამა სოფლის,
ჩაგიწურჩულებს სიბრძნეებს და წავა თავისთვის”.

აფხაზეთიდან ლტოლვილთა, სრულიად საქართველოს ტკივილი და ავტორისეული, განუზომლად ჭეშმარიტი განცდაა გადმოცემული 326-ე სონეტში (აფხაზეთს):

“ამ ბარათს შენ გწერ, ჩემო ძმაო, აფსუას ძევ და
თოლიებივით შენკენ ფრენენ ჩემი თვალები,
დახედო იქნებ, მონატრება მაგათი მრევდა,
ხომ არ წაშლილა ჩემი კერა და ნაკვალევი?..

რა დრო გასულა, ვედარ ვითვლი უკვე მე წამებს,
ნეტავ, როგორ სძლებს უჩემობით ჩემი ბიჭვინთა,
უფალმა იცის, ეს წლებია როგორ ვეწამე.
რამდენი ცრემლი დამიღვრია, როგორ მიჭირდა.
უფალო, გვედრი დაგვიმარცხე ყველა მოცილე,
ალბათ, უჩემოდ მოეწყინა დიოსკურიას,
მომალოცინე, მრავალჯერაც მომალოცინე,
მოქვთან, ილორთან მუხლის დრეკა როგორ მწყურია!
ღმერთო, სოხუმი მანახე და ძმათა სამარხებს
მკერდით დამამხე და მეც მათთან იქვე დამმარხე!

სონეტების პირველი და მეორე ნაწილი 2015-2016 წლებში გამოიცა, წიგნი “სიყვარულის ვირუსი”, როგორც ავტორმა დაასათაურა, მართლაც გავრცელდა და ‘სიყვარულის აპოგეად” იქცა.

ქალბატონმა მანანა ტონიამ პირველი სიტყვა საბავშვო ლიტერატურაში თქვა. ნორჩი თაობის მიერ ინტერესით იკითხება საბავშვო ლექსები,ზღაპრები. გავეცანი 3-დან 12 წლის აღსაზრდელებისთვის გამოცემულ წიგნს “ციცქნაეთი”. ძალიან მომეწონა, შთამბეჭდავია და ბიბლიოთეკაში მკითხველთა მოთხოვნებით სარგებლობს.

მე პირადად, მადლობას ვუხდი ბატონ თენგიზ წულაიას თავისი უნიჭიერესი და უკეთილშობილესი მეუღლის, მანანას შემოქმედებითი შესაძლებლობების რეალიზაციის საქმეში თანადგომისთვის, ასევე უახლოეს ადამიანებს, რომლებმაც ფინანსური მხარდაჭერის გზით შესაძლებლობა მისცეს ქალბატონ მანანა ტონიას, სამზეოზე გამოეტანა თავის ნაღვაწი. ახლა ჯერი მკითხველზეა. განსაკუთრებით ახალგაზრდობა უნდა გაეცნოს მის შემოქმედებით შედევრს. ჩემთვის ორმაგად საამაყოა, რომ ის ჩემი მშობლიური, ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის მე-14 საშუალო (ამჟამად მე-12 საჯარო) სკოლის კურსდამთავრებულია.

ახალი წარმატებები დამილოცნია სამწერლო შემოქმედებითი მოღვაწეობის დიდ გზაზე, ქალბატონო მანანა! თავადვე ამბობთ:

“მუზებთან შევქმენ სასიცოცხლო დავა და ომი,
რომ გამომეცხო სიყვარულის ტკბილი სონეტი”.

დიახ, თქვენ ეს შეძელით. თქვენ ხართ სულის მხატვარი. გაიხარეთ!”

პატივისცემით ნათელა
გელეიშვილი

## ოფიციალური სერიოზული

# “ამ კედლებს ჩემი ბავშვური სილაღე და სიანცე მივახატე”

ჩემი მოსწავლეობის ხანის ათვლა, 1964 წლის პირველი სექტემბრიდან იწყება და დღემდე მომდინარეობს. დიახ, მე დღესაც, ბეჯითი მოსწავლესავით, ვუსმენ თითოეულ ჩემს მკითხველს და მათგან ძალიან ბევრს ვსწავლობ. ჩემი მთავარი და უმკაცრესი მასწავლებელი ჩემი ცხოვრებაა, რომელიც არც ერთ შეცდომას არ მპატიობს, მაგრამ შრომისთვის აუცილებლად მაჯილდოებს და ძალიან უხვადაც.

მატარებლის ვაგონებივით გაიფრიალეს წლებმა და ჩემთვის ძალიან ძვირფასია პირველი ათი ვაგონი – სწორედ სამტრედიის რკინიგზის მე-14 სკოლაში გატარებული წლები. აი, ამ კედლებს, ჩემი ბავშვობა და სიყმაწვილე, ჩემი განცვიფრება და ღიმილი, ჩემი ბავშვური სილაღე და სიანცე მივახატე და გადავინაცვლე ცხოვრების მეორე საფეხურზე, რომელიც უფრო სერიოზული და საპასუხისმგებლო იყო. ბავშვობას დ სიანცეს, სიზარმაცეს და ბავშვურ ქარაფშუტობას რომ არ მაპატიებდა.

პირველ კლასში სკოლაში წასვლა არ მეხალისებოდა. რაღაც ზედმეტ სერიოზულობას და მეტ პასუხისმგებლობას მოითხოვდა და მეგონა, ჩემი ბავშვობა იქ დამთავრდებოდა, საკლასო ოთახის კარებთან. მაგრამ, თურმე, როგორ ვცდებოდი...

დედამ წამიყვანა სკოლაში... ჩანთით და ყვავილების დიდი თაიგულით, მორცხვად შევაღე საკლასო ოთახის კარები, სადაც მასწავლებელი, ქალბატონი თინა ჩახუნაშვილი, პირზე ღიმილით შემხვდა. მომეფერა, დამსვა მერხთან, “დედაენა” წინ დამიდო და წარმატებები მისურვა. ეს მომეტი კინოკადრივით ხშირად ამოტივტივდება ხოლმე ჩემს მეხსიერებაში და კარგად მახსოვს, თუ როგორ ვდელავდი...

მაგრამ თინა მასწავლებლის დედაშვილურმა მიდგომამ და სითბომ გაფანტა ის შიში და მღელვარება. კლასელები დავმეგობრდით და დღემდე ვმეგობრობთ. სკოლის მეგობრებს ხომ ვერავინ შეედრება.

ბევრმა მასწავლებელმა დამ-

ამახსოვრა თავი. უმეტესობამ კარგად. ქსენია ღაღანიძე, სილოვან მასწავლებელი, საშა ბიბილეიშვილი, საშა გელეიშვილი, ცაცა ქავზინაძე, გიორგი კაჭახიძე, ლიანა გოგოძე, ლამარა ნოზაძე და სხვები, ალბათ, ბევრი გამომრჩა, უბრალოდ, ვერ ვიხსენებ გვარებს, გამოირჩეოდნენ მაღალი პროფესიონალიზმით, პედაგოგიკის კარგად ფლობით და თავისი საგნის სიყვარულით. არ მიხსენებია ქალბატონი შურა კახაძე, რომელზეც ცალკე მინდა ვისაუბრო. მის გაკვეთილზე ბუზის გაფრენასაც გაიგონებდით, არა იმიტომ, რომ გვეშინოდა, არამედ ისე გვიხსნიდა ახალ მასალას, რომ თეატრში გვეგონა თავი და ლიტერატურული პერსონაჟები ჩენს თვალწინ დადიოდნენ და განასახიერებდნენ თავიანთ როლებს. მას ჰქონდა გაკვეთილი, რომელიც სპექტაკლს მოგაგონებდა და ეს სპექტაკლი არასოდეს დასრულებულიყო, ამაზე ვფიქრობდი. შურა მასწავლებელმა შემაყვარა ქართული ლიტერატურა. მივედი იმ დასკვნამდე, რომ მასწავლებელი უნდა გამოვსულიყავი.

რუსთაველი თუ ჭავჭავაძე, წერეთელი თუ ჯავახიშვილი, ტაბიძე თუ ბარათაშვილი... ყველა ეს მწერალი და პოეტი, ჩემი ცხოვრების ნაწილი გახდა. მაგალითის ძალა, როგორ უნდა მოვქცეულიყავი, როგორ უნდა მეცხოვრა. შურა მასწავლებლის მიერ მოწყობილ პოეზიის საღამოზე ყოველთვის დეკლამატორის და მუსიკალურად გამფორმებლის როლი მქონდა...

ოჰ, როგორ ტკბილად მახსოვს ის დრო...

ერთხელ, სტუდენტობის დროს, მე და ჩემმა მეგობარმა 5 ქისა შევქმენით და თანხას ვანაწილებდით მთელი თვის მანძილზე. ღიმილს მგვრის ეს ყველაფერი, ეს ხომ ოთარაანთ ქვრივიდან გვასწავლა შურა მასწავლებლა...

დაუსრულებლად შემიძლია ვისაუბრო... მეათე კლასში თითოეულ მასწავლებელს სახუმარო ლექსებიც კი მივუძღვენი. სამწუხაროდ, ვერ შემომენახა ის ჩანაწერები. ბავშვები აღფრთოვანებულნი იყვნენ, მქუხარე ტაშით დამაჯილდოვეს. ის შატალოები უტკბილესი მოგონებაა... რკინიგზის კლუბის ეზოში ნაყიდი ნაყინი და ვალიას ფოტოები.

რომელი ერთი გავიხსენო, არ ვიცი ხანდახან ჩემს თავს ვიჭერ იმაში, რომ თუ რამ კარგი გამაჩნია, ეს უპირველეს ყოვლისა ჩემმა სკოლამ მომცა. არაჩვეულებრივია დღესაც ჩემი მშობლიური სკოლა. გავიგე, რომ 12 ჩვენი კურსდამთავრებული ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას იქ და უსაზღვროდ მიხარია რამდენიმე წლის წინ, როგორც საბავშვო მწერალი, მიმიწვია ჩემმა მშობლიურმა სკოლამ და არაჩვეულებრივი საღამო მომიწყეს.

ქალბატონი ნინო ონიანი, რომელიც დღეს ამ სკოლის დირექტორია, არ დალატობს ძველ ტრადიციებს. არაჩვეულებრივად უძღვება და ყველანაირად ცდილობს, რომ როგორც ყოველთვის მე-12 სკოლა იყოს საუკეთესოთა შორის საუკეთესო.

მანანა ტონია

***

ვატყობ, ძლიერ მომეძალა,

ფიქრები და განცდები,

წარსული კარს არ მიხურავს,

მასთანა ვარ, არ ვცდები.

წლებმა უხვად ჩამოთოვეს,

გავიარე გზა გრძელი,

ხან ვწუხდები, ხან ვმშვიდდები,

ფიქრებს ვედარ ვეშვები.

მაინც მძალავს კარგზე ფიქრი,

ახალისებს განწყობას,

ვერ დავფარავ, ძალას მმატებს,

მე გულწრფელი და-ძმობა.

სიკეთის ხიდს ვერ დაანგრევს,

ბოროტი და ავყია,

კეთილი სძლევს ბოროტს, ვიცით,

მამული ხომ განძია!

დაილოცოს საქართველოს

მომავალი აისი,

ჩვენი ქვეყნის ევროპულ გზას,

შევეგებოთ ხალისით.

ნათელა გელეიშვილი

## მიზან-შედეგობრივი ამოცანა
### პასუხის გამხადე ღირსი!

*“უაზრო ხმაური არ მსურს.*
*უაზრო დუმილი მიჭირს,*
*უკეთუ არ გამცემ პასუხს –*
*შეკითხვის წამართვი ნიჭი.*

**მუხრან მაჭავარიანი**

აკადემიკოსი ინესა მერაბიშვილი თავის გამოქვეყნებულ წერილში “საქართველოს რესპუბლიკა” (25 მარტი 2022 წელი), “როგორ გვმართებს “ვეფხისტყაოსნის” ავტორის მოხსენება” არსი, სადაც გენიოსი პოეტის ბიოგრაფიული ცნობები საფუძვლიანადაა გაანალიზებული, ის, რომ პოეტის ვინაობის დადგენის, ასევე თავად ტექსტის ინტერპრეტაციის თვალსაზრისით აკადემიკოსმა საკითხი აკადემიის სამეცნიერო სივრციდან განხილვისათვის საჯარო სივრცეში გამოიტანა, სწორედ ამან გადამაწყვეტინა, საკითხი ჩამერთო ჩემი ავტორობით გამოცემულ წიგნში და კიდევ უფრო საჯარო გაგვეხადა. ამ მიზნით წიგნი გადაეცა 12-ე საჯარო სკოლას: ექვსი სოფლის და ექვსი ქალაქის საჯარო სკოლებს. იმავდროულად მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორმა ქალბატონმა ლამარა დუნდუამ ათ ბიბლიოთეკას წიგნები გადასცა, ამრიგად, საკითხმა მთელი რაიონი მოიცვა.

მოლოდინია, რომ საჯარო სკოლის ისტორიის, ფილოლოგიის და სხვა მესვეურნი თავის მოსაზრებებს მიაწვდიან რესურსცენტრის სპეციალისტებს, ისინი კი თავის მხრივ აკადემიკოს ინესა მერაბიშვილს, რაც ერთგვარი ყურადღების და მზრუნველობის საგანი გახდება ჩვენი რაიონის მხრიდან.

ჯერ კიდევ როდის წერდა კონსტანტინე გამსახურდია: “ცნობილია, არც ერთ ერს არაფერი შეუქმნია მნიშვნელოვანი, თუ მას ოდესმე დიდი კულტურული, ისტორიული მისიის მეურვედ არ უცვნია თავი. ამის გარეშე ყოველივე ეპიგონობაა და მსოფლიო პროვინციის უნიათო ლუღლუღი”.

თავის დროზე ილია ჭავჭავაძე ბრძანებდა: “ერი თავის გმირებში პოულობს თავის სულსა და გულსა, თავის მწვრთნელსა, თავის ღონეს და შესაძლებლობას, თავის ხატს და მაგალითს, ამიტომაც იგი ზოგს იმათგანს წმინდანების გვირგვინითა ჰმოსავს და ჰლოცულობს, ზოგს დიდბუნებოვნებას შარავანდედითა და თაყვანს სცემს სასოებით და მადლობითა, ამიტომაც საჭიროა იმათი ხსოვნა, იმათი დაუვიწყრობა”.

წმინდა გიორგის თქმულების დედააზრი ერთია, თუ ვინმეს უჭირს, თავი გაწირე, მაგრამ იხსენიო!

სწორედ ორმა ერისშვილმა: ერის სამსახურში დამაშვრალმა ირაკლი ქუთათელაძემ და სულიერმა მამამ, 28 წლის არქიმანდრიტმა ილია კარტოზიამ თავი გაწირეს და სხვისი სიცოცხლე იხსნეს. ეს ხომ ზნეობის მწვერვალია. მომავალი თაობები ხომ გმირების ღვაწლის გააზრებით უნდა გაიზარდოს. ამიტომაც ქალაქის თვალსაჩინო ადგილზე უნდა განთავსდეს ქანდაკება სახელწოდებით “ზნეობის მწვერვალი”, და ამით აისახება ერის კაცის – ირაკლი ქუთათელაძის და სასულიერო პირის – ილია კარტოზიას სახეები, რაც თვალსაჩინო მაგალითი იქნება თაობებისათვის!

და ბოლოს, წერილი მინდა დავასრულო მუხრან მაჭავარიანის მოწოდებით:

ვის გაუმარჯოს?
მას გაუმარჯოს!
სწორედ მას, მარტო,
და ღმერთმა ხელი მას მოუმართოს,
ხმა ილიასი რომელსაც ახსოვს:
– ჩვენ უნდა მივცეთ,
მერმისი ხალხსო!
იმედია შედეგი დადგება!

**გია ბოჭორიშვილი**

# “ნიანგი” 100 წლისაა

“გამოდის 1923 წლის ივნისიდან“ – ვკითხულობთ უკვე ისტორიადქცეულ, თუმცა, ერთ დროს საოცრად პოპულარულ ჟურნალ “ნიანგის” ყდაზე, ჟურნალი კი სატირულ-იუმორისტული გახლდათ და საოცრად პოპულარული იყო საქართველოში. იყო შემთხვევები, როცა “ნიანგის” მწვავე კრიტიკის მსხვერპლნი გამხდარან მაღალჩინოსნები, სამინისტროებისა და უწყებების პირველკაცები.

რაც შეეხება სატირასა და იუმორს, ანუ დიმილით ნათქვამ სიმართლეს, რომ “დამანგრეველი” ეფექტი აქვს და უფრო რბილად რომ ვთქვათ, გამაფხიზლებელი, არახალია, ძველია.

აკაკი წერეთლის მიერ გასული საუკუნის დასაწყისში სულჩადგმული ჟურნალი “ხაფანგი”, ასევე პერიოდიკაში შემონახული ჟურნალები “ჭინჭარი”, “შოლტი” სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდნენ.

ხელთა გვაქვს 1984 წლის ივლისის ჟურნალი, რომლის სარედაქციო კოლეგია ასე გამოიყურება: მთავარი რედაქტორი – ზაურ ბოლქვაძე, სარედაქციო კოლეგია: ჭაბუა ამირეჯიბი, ნოდარ დუმბაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წივწივაძე, ჯემალ ლოლუა, ნოდარ მალაზონია და სხვები.

ქართული მწერლების ამ თვალსაჩინო წარმომადგენელთა ჟურნალში თანამშრომლობა უდავოდ მის ავტორიტეტზე მიუთითებს. ჟურნალში გამოქვეყნებულ, “მწარე სიმართლით” ნათქვამ ტექტსტებს შესაბამისი შარჟები, კარიკატურებიც თან ერთვოდა, რაც თითოეულ გამოცემას კიდევ მეტ მიზნობრივ დატვირთვას სძენდა.

ერთდროს პოპულარული ჟურნალის იუბილეს ვულოცავ “ნიანგელებს” მათ ერთგულ მკითხველს.

**ლევან გაბეჩავა**

## “ჯეო ჰოსპიტალსის სამტრედიის მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრის თანამშრომლებს!

გავხდი ცუდად მაღალი წნევით, ოჯახის წევრებმა გამოუძახეს სასწრაფოს, გამიკეთეს წნევის დამწევი სხვადასხვა საშუალება, მაგრამ არ მოხერხდა წნევის დარეგულირება. პირიქით, იმატებდა, რის შედეგადაც გადამიყვანეს სასწრაფო დახმარების მანქანით საავადმყოფოში. მორიგე ექიმი გახლდათ ქალბატონი ნუნუ აბრამია, რომლის მოქმედებამაც ნამდვილად გამაოცა. გეგონებოდათ, საკუთრ დედას სინჯავდა, ყოველნაირი ღონე იხმარა, რომ კარგად გავმხდარიყავი და მართლაც ასე მოხდა. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ნუნუ ექიმს. ის რომ არა, არ იყო გამორიცხული ფატალურად დამთავრებულიყო ჩემი სიცოცხლე. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და დიდი მადლობა ვუთხრა ლევან ჩოგოვაძეს,რომელმაც მოტეხილ ფეხზე ოპერაცია გამიკეთა და დიდი შედეგი დადო თავისი პროფესიონალიზმით, თითქმის უჯოხოდ დავდივარ. ასევე დიდი მადლობა მინდა ვუთხრა მაღალი კვალიფიკაციის მქონე ექიმ გურამ მშვიდობაძეს, რომელმაც გამომაჯანმრთელა. არ შემიძლია აქ არ აღვნიშნო: სრულიად უცნობი, ლამაზი, თბილად მოსაუბრე ექიმი შემოდის და მეკითხება: “ბებო, ხომ კარგად ხართ? რამე ხომ არ გინდათ? წნევაც გამისინჯა დიდი ყურადღებით, ჯერ თავისი გარეგნობით, სილამაზით და ტკბილი სიტყვებით მოარჩენდა ადამიანს. ვიკითხე, ვინ იყო ეს ექიმი და როგორც გავიგე ეკა დვალიშვილი ყოფილა!

ღმერთმა უმრავლოს საქართველოს ასეთი ექიმები. მე მაინც ასე ვიტყოდი, ესეთი ყურადღება, სიკეთე და პასუხისმგებლობა მედიცინის თანამშრომლებისგან მთავარი ექიმის, გიორგი კუხიანიძის დამსახურებითაა.

ბატონო გიორგი, განსაკუთრებული მადლობა თქვენ!

**პატივისცემით გულო ვეკუა-ბარძაია**

# ბებია
## თამარ თავაძე...

წარსული ორმაგად ძვირფასია ყოველი ადამიანისათვის, ხოლო ბავშვობის მოგონებებზე ძვირფასი არაფერია. ონავარი ბავშვობა – ბაღი, სკოლა და შემდეგ სიყმაწვილის წლები, რომლებიც, რა თქმა უნდა, ნელ-ნელა იცვლება და ვითარდება. ის ჰგავს იმ ახლად დარგულ ნერგს, რომელიც გაშლის მაღალ სივრცეში ტოტებს და ემზადება ამაო საწუთროებასთან შესაჭიდებლად. მაშინ, ვერც კი წარმომედგინა პატარა უსუსურ ბავშვს, რომელსაც ბებია “ბაყბაყ დევის თავგადასავალს” უყვებოდა, თუ ბაბუას მუხლზე გადამჯდარს მის მიერ მოფიქრებული სათამაშო ცხენიდან ოდესმე მომიწევდა ჩამოსვლა და წუთისოფლის ბობოქარ ტალღებში მომიხდებოდა შეცურება. მაშინ არც ერთი ჩვენგანი და მათ შორის მეც, არ ან ვერ ვაცნობიერებდით ცხოვრებისეულ მრავალ გარემოებას. როგორც ყველა ბავშვს,მეც ისე ყველაზე ლამაზი ჩემი დედა და ყველაზე ძლიერი მამაჩემი მეგონა. ადამიანს წინაპრებთან აკავშირებს სისხლი, გვარი და ის ადამიანები, რომლებსაც ბებია-ბაბუები ჰქვია. მათი კალთა იმ ფარდას ჰგავს, ბავშვობისეულ სამყაროსა და რეალურ სამყაროს შორის რომ იყო ჩამოფარებული. მათი განვლილი გზა კი ცხოვრებისეული მაგალითია. ცხოვრება გზაა, არცოუ ისე დიდი და ფართო, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს და გვგონია, მაგრამ დაკვირვებული თვალი დროზე ადრე გაარჩევს და მიხვდება. ზოგს შეიძლება, წლები სჭირდება ამისათვის, მაგრამ ერთ რამეზე ყველანი ვთანხმდებით, რომ ადამიანის ცხოვრებაში არის რაღაც გარკვეული პერიოდი, რომელიც, ადრე თუ გვიან, სრულდება და იწყება რაღაც ახალი. თითქოს ჩემი ბავშვობა დასრულდა! დასრულდა და დამიტოვა მხოლოდ კადრები დიდ მოგონებათა სკივრიდან და ბიძგი ახალ ეტაპზე გადასასვლელად. ყველაფერ ახალთან შეგუება ყოველთვის ძნელია, მაგრამ არის რაღაც ცხოვრებისეული ჩარჩოები, რომელსაც ვეღარ გაექცევი.

მან ცხრა ათეული წელი დაჰყო აქ, ახლა კი, ცოდვა-მადლსავსე ხურჯინგადაკიდებული აუყვა საიქიოს აღმა ბილიკს... ადამიანი რთული არსებაა, სული ზეციური, ხორცი მიწიერი, ცხოვრება კი ჭიდილი ხორციელ და სულიერ ვნებებს შორის. ვერავინ ვერასდროს მიხვდება, ამ უთანასწორო ბრძოლაში რომელი მხარე რჩება გამარჯვებული, მაგრამ საბოლოოდ სული მაინც იღვრება ხორციელი ჭურჭლიდან და “მიწა თავისას მოითხოვს”.

**გოგიტა (გალაქტიონ) გიორგაძე**

ირა, ჯონდი, ლევან გაბეჩავები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**ბაკურ ბაკურაძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ჭირისუფალთ. უფალმა დაგიმკვიდროს ცათა სასუფეველი ჩვენო დაუვიწყარო ბაკურ.

---

ნინოშვილის უბანში მცხოვრები უახლოესი მეზობლები იუწყებიან

**ბაკურ ბაკურაძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ოჯახს.

# აინები, მაინები... შოკოლადიც რომ მაჩუქო, მაინც არ შეგირიგდები...

**პროექტი, რომელსაც უბრალოდ "მუსიკალური საღამოები" ჰქვია, ყოველ შაბათ-კვირას მუსიკალურ საღამოებად გაიმართება ყველგან, მთელ საქართველოში და ზაფხულის საღამოებს კიდევ უფრო ხალხმრავალს, ხმაურიანსა და ღიმილით სავსეს გახდის. საქართველოს მთავრობის ინიციატივით ორგანიზებული სანახაობა, სამტრედიაში უკვე ჩატარდა.**

წინა დღეების ხვატი წვიმამ გააგრილა ივლისის ერთ შაბათ საღამოს. ბუნებრივია, ზაფხულის შხაპუნამ ვერაფერი დააკლო ახალგაზრდების საკონცერტო განწყობას. რკინიგზის ვაგზლის მიმდებარედ, ჯერ ისევ ახლად გახსნილი სკვერის სახელით რომ მოიხსენიებენ სამტრედიელები, ზაფხულის საღამოებს ჩვეულ მხიარულებაზე უფრო მეტი მხიარულება იდგა. გარდა იმისა, რომ ადგილობრივი მეწარმეების, ხელნაკეთი ნივთების, ათასნაირი ნუგბარის გამოფენა-გაყიდვა მოეწყო, თითების თეატრის წარმოდგენა გაიმართა და საბავშვო გასართობიც მრავლად იყო.

საკონცერტო ტურნეთი ცნობილმა ქართველმა მომღერლებმა გამართეს კონცერტი. ეკა კახიანი, ნინი ბადურაშვილი, ქრისტინე იმედაძე, ნოდიკო ხუციშვილი სამტრედიელებისთვის მღეროდნენ. ეკა კახიანმა ისიც აღნიშნა, რომ სამტრედია მისთვის და მისი ქალიშვილისთვის ძალიან მშობლიური და საყვარელი ადგილია.

სამტრედია რომ ძმობისა და სიყვარული ქალაქია, კარგა ხანია იციან სამტრედიელებმა და არა მხოლოდ მათ. ჰოდა, ივლისის ის წვიმიანი შაბათიც ისეთი მხიარული ჩანდა, როგორც ყველაფერი, როცა ირგვლივ ძმობა და სიყვარულია. ზაფხულის ერათ საღამოს ისე ადვილი იყო ცხოვრება, როგორც იმ სახუმარო სიმღერაში, სცენიდან რომ მღეროდნენ – "აინები, მაინები, ჭიქები და საინები... შოკოლადი რომ მაჩუქო, მაინც არ შეგირიგდები!.." ირგვლივ კი ბევრი ტკბილეული და შოკოლადი იყო, კიდევ უფრო მეტი გასართობით და თუნდაც ამ ერთ დღეს დავიწყებული ათასი საზრუნავით. ცა ფოიერვერკმა გაანათა ათასი ფერით.

მერე რა იქნება? რა იქნება და, ზაფხულის დანარჩენი საღამოებიც მასავით ბრჭყვიალა უნდა იყოს სამტრედე ქალაქში.

"ზაფხულის საღამოებმა" პროექტის სახით სხვა ქალაქებში გადაინაცვლა ნამდვილი ზაფხულის საღამოების კიდევ უფრო გასამხიარულებლად.

თეა ბაბუნაშვილი

## საქართველოს სუპერთასზე

4 ივლისს თბილისში, ბორის პაიჭაძის სახელობის "დინამო არენაზე" გაიმართა საქართველოს სუპერთასის ფინალური მატჩი ფეხბურთში, სადაც ერთმანეთს დაუპირისპირდნენ თბილისის "დინამო" და ბათუმის "დინამო".

მატჩის ძირითადმა დრომ გამარჯვებული ვერ გამოავლინა, რომელიც ფრედ – 1:1 დასრულდა. თერმეტმეტრიანების სერია უკეთ შეასრულეს და ანგარიშით 4:3 გაიმარჯვა თბილისის "დინამომ" და ისტორიაში მეცხრედ დაეუფლა ტიტულს.

საქართველოს სუპერთასი რამდენიმე წელია ატარებს სახელგანთქმული ფეხბურთელის სლავა მეტრეველის სახელს.

ლეგენდარულ ქართველ ფეხბურთელს სლავა კალისტრატეს ძე მეტრეველს 30 მაისს 87 წელი შეუსრულდებოდა.

## ისტორიაში მესამედ

დასრულდა უეფას 2023 წლის 21 წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში, რომელსაც საქართველო რუმინეთთან ერთად მასპინძლობდა. ჯილდოსათვის 16 რჩეული ნაკრები მონაწილეობდა.

ფინალურ შეხვედრაში, რომელიც დასკვნით დღეს – 8 ივლისს, ბათუმში, "აჭარაბეთ არენაზე" გაიმართა ინგლისის ნაკრებმა მინიმალური ანგარიშით 1:0 მოუგო ესპანეთის ნაკრებს და ისტორიაში მესამედ გახდა ტიტულის მფლობელი.

ევროპის ჩემპიონატში პირველად მონაწილეობდა საქართველოს 21 წლამდელთა ახალგაზრდული ნაკრები (მთავარი მწვრთნელი რამაზ სვანაძე), რომელიც მეოთხედფინალში თერმეტმეტრიანების სერიაში დამარცხდა ისრაელის ნაკრებთან.

აღნიშნული ტურნირი საქართველოში მაღალ დონეზე ჩატარდა.

იორამ ნიკოლეიშვილი

## ოთარ ადეიშვილი ევროპის ჩემპიონია თავისუფალ ჭიდაობაში

ესპანეთში ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის, სადაც საქართველოს ნაკრები ასპარეზობდა, მათ შორის – 79 კილოგრამ წონით კატეგორიაში სამტრედიის საჭიდაო კლუბ "ფალავანის" აღზრდილი ოთარ ადეიშვილი. მან შეხვედრა დამაჯერებლად მოიგო და არავის დაუთმო ევროპის ჩემპიონობა. ევროპის პირველობის ფინალში ოთარ ადეიშვილმა გერმანელი მეტოქე ანგარიშით 10:7 დაამარცხა და ოქროს მედალს დაეუფლა.

"ოთარ ადეიშვილი 20 წლის ახალგაზრდაა, რომელიც სამტრედიაში დაიბადა და წარმატებულ სპორტსმენად აქვე ჩამოყალიბდა. მას მე და ჩემი ძმა, ლაშა სტურუა ვწვრთნიდით რვა წლის ასაკიდან. ოთარი საქართველოს მრავალგზის ჩემპიონია სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში. წინა წელს მან ევროპის ფინალში იჭიდავა, ხოლო მსოფლიოზე მესამე ადგილი აიღო. ევროპაზე ვერცხლი ოქროთი შეცვალა და იმედი გვაქვს, რომ მსოფლიოს შარშანდელ ბრინჯაოს წელს ოქროში გადაცვლის. ვულოცავ ოთარს, სრულიად სამტრედიას, რომელიც მუდმივად გულშემატკივრობს ჩვენს ფალავანს, ევროპის ჩემპიონობას და ვუსურვებ უფრო დიდი მწვერვალები დაეპყროს". – გაზეთ "სამტრედიის მაცნესთან" კომენტარში განაცხადა ოთარ ადეიშვილის პირადმა და საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა, კლუბ "ფალავანის" დირექტორმა, ვეფხია სტურუამ.

ნინო ნანიტაშვილი

## "ივიკოს თასზე" სამტრედიის ნორჩ ფეხბურთელთა გუნდმა წელს პირველად იასპარეზა

2011 წელში დაბადებული ვაჟები თბილისში საკმაოდ წარმატებულ გუნდებს დაუპირისპირდნენ. მთავარი მწვრთნელის, ოთიკო ზაქარეიშვილის შეგირდებმა (მწვრთნელი ლერი მეგენეიშვილი, მეკარეების მწვრთნელი ილია გიორგაძე) ოთხი თამაშიდან სამი მოგება და ერთი მარცხი განიცადეს.

სამტრედიის "სამტრედიამ" საკმაოდ ძლიერი მეტოქეები დიღმის "აკადემია", გორის "დილა", თბილისის "ლოკომოტივი" დაამარცხა. გუნდმა ერთადერთი წაგება თბილისის "დინამოსთან" იწვნია. შეგახსენებთ, რომ "ივიკოს თასს" თბილისის ფეხბურთის ფედერაცია ბოლო რამდენიმე წელია, ატარებს.

ფესტივალში, რომელიც ბავშვთა ფეხბურთში პრესტიჟულ ტურნირად ითვლება, საქართველოს მასშტაბით, 16 საუკეთესო გუნდი იღებდა მონაწილეობას.

ნინო ნანიტაშვილი

## 7 წლის მართა ვაშაყმაძე "ტვინების ჭადრაკის" რესპუბლიკური კონკურსის გამარჯვებულია

ჭადრაკი, როგორც სავალდებულო საგანი ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე წელს დაინერგა. იგი საოცრად ლამაზი და დრმა შინაარსის მქონე თამაშია. იმდენი კომბინაცია,რამდენიც ჭადრაკშია სპორტისა და ხელოვნების არც ერთ დარგს არ გააჩნია.

სამტრედიის №2 საჯარო სკოლაში 2015 წლიდან ვასწავლი ამ სამეფო, ბრძნულ თამაშს, ჩემი მოსწავლეები წარმატებით მონაწილეობდნენ რაიონულ და რესპუბლიკურ ტურნირებში. ჩავატარეთ ლამაზი ღონისძიება "ჩვენ პატარა გენიოსები ვართ." წელს კი ჩემი სკოლის პირველკლასელები ძალიან დაინტერესდნენ სპორტის ამ უნიკალური სახეობით. შევასწავლე ჭადრაკის თამაშის ელემენტარული წესები, სვლები, დებიუტები, ყოველივე ამაში ძალიან მომეხმარა იმერეთის ჭადრაკის ფედერაციის აღმასრულებელი მდივნის, ბატონ ალექსანდრე არსენიძის, მიერ გამოცემული III და II კლასის მოსწავლის რვეული და მასწავლებლის წიგნები "ჭადრაკი დამწყებთათვის", რომელთაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გრიფი მიენიჭა. ამ წიგნებში წარმოდგენილია მატრიცები, კომპლექსური დავალებები და აქტივობები, რაც შექმნილია თანამედროვე მეთოდიკითა და სტანდარტებით. ამ წიგნებმა საშუალება მომცა, გაკვეთილი წამემართა სრულფასოვნად. მადლობა ბატონ ალექსანდრეს ამ შესანიშნავი სახელმძღვანელოებისთვის!

სკოლაში წლის ბოლოს ჩავატარე ჯერ საკლასო, შემდეგ სასკოლო ტურნირი. შემდეგ კი წარმატებულმა ნორჩმა მოჭადრაკეებმა. მონაწილეობა მიიღეს ლანჩხუთის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში "ნოე ჟორდანიას თასი 2023". ტურნირში მონაწილეები, პირველკლასელები ანდრია ანდრიაძე, მათე გაბუნია, გიგა გოგია, სანდრო გოგიშვილი, მილერი ანდღულაძე, მართა ვაშაყმაძე და ლანა თავდიშვილი, რომლებმაც 7 ტურიდან, 3 და 4 ქულა მოიპოვეს. მათ შორის გამოიკვეთა 7 წლის მართა ვაშაყმაძის კომბინაციური თამაში. ნიჭიერი გოგონა ჩავაბი ე. წ. "ტვინების ჭადრაკის" ონლაინ საკვალიფიკაციო ტურნირში, რომელიც 2023 წლის 21 მაისს გაიმართა. პირველი ეტაპი – საჭადრაკო სპეციალური ტესტი მოიცავდა როგორც საჭადრაკო ელემენტებს, ასევე, ზოგად ლოგიკურ შეკითხვებს, რომელიც იყო "ტვინების ბრძოლის" ფორმატთან მჭიდრო კავშირში. ამ მნიშვნელოვან შეჯიბრებაში სამტრედიის 2 საჯარო სკოლის (დირექტორი თეა კარტოზია, I კლასის ხელმძღვანელი სოფიკო ლეჟავა, ჭადრაკის პედაგოგი გულიკო გოგიტიძე-ჩაბრაძე) პირველკლასელმა, 7 წლის მართა ვაშაყმაძემ, რომლის კონკურენტები იყვნენ I, II, III და IV კლასის მოსწავლეები, ბრწყინვალედ იასპარეზა და ყველაზე მაღალი შედეგით – 145 ქულა, 30-დან 29 სწორი პასუხით, საქართველოს მასშტაბით, პირველი ადგილი დაიკავა. 27 ივნისს – იოსებ ოცხელის სახელობის ქუთაისის №2 საჯარო სკოლაში ჩატარდა ფინალი სამ ასაკობრივ კატეგორიაში, მართამ აქაც წარმატებით იასპარეზა მასზე გაცილებით უფროსი ასაკის 8, 9, 10 წლის მოჭადრაკეებთან და დაჯილდოვდა "ტვინების ჭადრაკის" ორგანიზატორის, გენერალური დირექტორის ბატონ ალექსანდრე ბასილაძის მიერ "ტვინების ჭადრაკის" დიპლომით, სერთიფიკატით და გადაეცა ფასიანი ვაუჩერი თანადაფინანსებით, "ტვინების ბრძოლის" საზაფხულო ბანაკისთვის.

სექტემბრის ბოლოს კი პატარა მოჭადრაკეები მონაწილეობას მიიღებენ ქუთაისის მაია ჩიბურდანიძის სახელობის საჭადრაკო სკოლის საკვალიფიკაციო იმერეთის ჩემპიონატში.

ვულოცავ მართას ამ პირველ დიდ წარმატებას, ასევე ჩემს ნორჩ მოჭადრაკეებს ვუსურვებ შემდგომ გამარჯვებას!

გულიკო გოგიტიძე-ჩაბრაძე

ფრანგული ენისა და სპორტის უფროსი პედაგოგი. საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა "ქალდეასა" და "ფაზისის" აკადემიების აკადემიკოსი

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 555 45 15 11

დირექტორი შალვა არზუმანიანი
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული გრაფიკა მაკა პაპავა